2015

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების 6 თვის კონსოლიდირებული ანგარიში

2015 წლის იანვარი - ივნისი

ევროინტეგრაციის, რეფორმებისა და ინოვაციების დეპარტამენტი
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
10.2015

<u>შესავალი</u>

ანგარიშის პროექტი მომზადდა იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის (რგპ) განხორციელებისათვის შემუშავებული *მონიტორინგის გეგმაშია* გაწერილი. აღნიშნული დოკუმენტი მოწონებულ იქნა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2014 წლის 26 დეკემბერს.

ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა 6 თვის ე.წ. *საინფორმაციო ფურცლებს,* რომლებიც მომზადდა იმ სამინისტროებისა და უწყებების მიერ, რომელთაც რგპ-ში გაწერილი ღონისძიებების განხორციელებაზე უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ამავდროულად, ანგარიში დამატებით მოიცავს ექსპერტებისგან და სხვა წყაროებიდან შეგროვებულ ინფორმაციას. ანგარიშის პროექტი, 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან განხილვის შემდგომ, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას (რგსკ) დასამტკიცებლად წარედგინება არაუგვიანეს 2015 წლის 31ოქტომბრისა.

წინამდებარე ანგარიში პირველია, რომელიც რგპ-ს მონიტორინგის გეგმის მიხედვით მომზადდა. ყველა მონაწილე მხარისთვის საინფორმაციო ფურცლების, და რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დონეზე საბოლოო, კონსოლიდირებული ანგარიშის მომზადების პროცესი უნდა მივიჩნიოთ, როგორც „სწავლა კეთებით“ პროცესი. გარდა იმ პრობლემების გამოვლენისა, რომელიც რგპ-ს განხორციელებას უკავშირდება, ანგარიშში ასევე გამოვლენილია მონიტორინგის ფუნქციონირების შედარებით სუსტიმხარეები და იგი იძლევა რეკომენდაციებს მისი შემდგომი გაუმჯობესებისთვის. საბოლოო ჯამში, ეს ხელს შეუწყობს რეგიონული პოლიტიკის უფრო ეფექტიან განხორციელებას საქართველოში.

მოკლე შემაჯამებელი მიმოხილვა

2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება დაიწყო 2015 წლის დასაწყისში. 2015 წლის ივნისის ბოლოსთვის რგპ-ში მოცემული ღონისძიებების განხორციელების ხარჯებმა 395,9 მილიონი ლარი შეადგინა, რომელიც მთელი წლის მანძილზე დაგეგმილი მთლიანი ასათვისებელი თანხის 33.3 %-ია.

მეტწილად, ფინანსური თვალსაზრისით ასეთი ზომიერი პროგრესი სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის, კლიმატური პირობებითა და საკანონმდებლო თავისებურებებით აიხსნება, რაც ბუნებრივია, წლის პირველ ნახევარში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესს ანელებს. მაგალითად - გზების მშენებლობის, მოდერნიზაციის და მოვლა-პატრონობისთვის გამოყოფილი თანხა *(ღონისძიება 1.1*) 2015-2017 წლების რგპ-ს მთლიანი გამოყოფილი თანხის 55%-ს შეადგენს, ამიტომ გასაგებია, რომ ამ ღონისძიების პროგრესი (კლიმატური პირობებისა და პროექტების მოსამზადებელი პროცესის გამო) წლის პირველ ნახევარში პროგრამის საერთო შესრულებაზე ახდენს გავლენას. ღონისძიებების უმრავლესობის შემთხვევაში, ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადების შესახებ პროგრესი (განსაკუთრებით გზები, წყლის მიწოდება და წყალარინების ინფრასტრუქტურა) მიუთითებს, რომ რგპ-ს ფინანსური განხორციელება წლის მეორე ნახევარში შესაძლოა დაჩქარდეს, რაც 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. ფინანსური გეგმის მიხედვით, გამოყოფილი თანხის მინიმუმ 70% უნდა გაიხარჯოს.

პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს შორის ფინანსური შესრულების კუთხით, თვალსაჩინო განსხვავებებია. გახარჯული თანხის პროცენტულობის მიხედვით, ყველაზე სწრაფი ტემპით ხორციელდება პრიორიტეტი #4- „ტურიზმის განვითარება“ (65.5%) და პრიორიტეტი #3-

„სოფლის მეურნეობის განვითარება“ (46,1%). ამის საპირისპიროდ, ამ ეტაპისთვის, შემდეგი ღონისძიებების განხორციელების პროგრესი: „რეგიონული განვითარების ფონდი“; 5.2- „ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა, არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, აღჭურვა და ადამიანური რესურსების განვითარება“; მთლიანი გამოყოფილი თანხის 20%-ზე დაბალია. ზოგადად, საჯარო მომსახურებების მიწოდება-განხორციელების კუთხით არსებულ ცალკეულ პრობლემებს დროულად უნდა მიექცეს ყურადღება, კერძოდ, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის, მცირე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით, რამდენადაც, ერთობლიობაში მათ შესაძლოა პოტენციურად უარყოფითი გავლენა იქონიონ ზრდის პერსპექტივაზე, განსაკუთრებით კი ღარიბ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში. აღნიშნული განსაკუთრებულ ყურადღებას და განხორციელების ტემპის გაუმჯობესების შესახებ შემდგომ დისკუსიას მოითხოვს.

თავის მხრივ, ფიზიკური პროგრესი დაკავშირებულია ფინანსურ პროგრესთან (თითოეული ღონისძიების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხ. დანართი #1). შესრულების თვალსაზრისით, ამ ეტაპისთვის ყველაზე კარგი განხორციელების პროგრესი მიღწეულია ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ღონისძიებებზე, რომლებიც მკაფიოდ გამოკვეთილ სამთავრობო პრიორიტეტებს წარმოადგენენ. გაზრდილია მათი ასიგნებებიც, 2014 წლის დეკემბერში რგპ-ის მონიტორინგის გეგმის მიღების შემდგომ.

რგპ-ს განხორციელებაზე წლის პირველ ნახევარში რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ფაქტორმა მოახდინა გავლენა; მათ შორის, აღსანიშნავია: მაკროეკონომიკური და ფინანსური პირობები, ადმინისტრაციული შესაძლებლობები, კლიმატური პირობები და ბუნებრივი კატასტროფები. მთლიანად შესრულების კუთხით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილება და ზემოთაღნიშნული კლიმატური პირობები.

საქართველოში სოციალური და ფინანსური მდგომარეობა სტაბილური რჩება, თუმცა საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესული ცვლილებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ რგპ-ს <u>ფინანსურ ცხრილში ცვლილებების შეტანის საკითხი</u>. ასევე, ყურადსაღებია ადმინისტრაციული შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერების საჭიროება და თანადაფინანსებით განსახორციელებელი პროექტების უფრო ეფექტიანი კოორდინაციის საჭიროება სახელმწიფოსა და დონორ ორგანიზაციებს შორის.

ანგარიშში მოცემულია პირველადი რეკომენდაციები მონიტორინგის სისტემის, როგორც მართვის ინსტრუმენტის გამოყენების გაუმჯობესებისა და რგპ-ს განხორციელების შესრულების გაუმჯობესების მიზნით. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია:

- განხორციელებისა და მონიტორინგის საკითხების გადასაჭრელად ადმინისტრაციული შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ყველა იმ ინსტიტუციაში, რომლებიც საჯარო პოლიტიკის, მათ შორის, რეგიონული პოლიტიკის პროგრამირების, განხორციელების და მონიტორინგში არიან ჩართულნი;
- 2015-2017 წლების რგპ-ს მონიტორინგის პროცესის დოკუმენტირების სანდოობისა და სიზუსტის შემდგომი უზრუნველყოფა და გაუმჯობესება, რაც გულისხმობს:
    - ფინანსური ცხრილის განახლების აუცილებლობას (ამჟამად რგპ-ს მონიტორინგის გეგმის დანართი #6), რომელიც რგპ-ს ფინანსური პროგრესის გაზომვის ამოსავალი წერტილია; ეს შესაძლოა მოიცავდეს იმ აქტივობების გაცნობას, რომელიც სამინისტროების მიერ უკვე შეთავაზებულია.
    - ყველა ღონისძიებისათვის ინდიკატორების სამიზნეების განსაზღვრის გაგრძელებას, და მყისიერი შედეგების ინდიკატორების დახვეწას და შეგროვებას;

- ღონისძიებების განხორციელების შესახებ ანგარიშში მეტი ტერიტორიული განზომილების შემოტანას.

- კოორდინაციის გაუმჯობესება საბიუჯეტო ხარჯვასა და იმ აქტივობებს შორის, რომლებიც საერთაშორისო დონორების მიერ ფინანსდება ან ხორციელდება;
- რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მართვის სისტემაში ცვლილებების შეტანა, განხორციელების პროცეში თანამედროვე ელექტრონული მართვის დანერგვა-გამოყენების გზით.

1. ექვსთვიანი საინფორმაციო ფურცლის სტრუქტურა

საანგარიშო პერიოდი	იანვარი – ივნისი, 2015
ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ანგარიშის პროექტის დასრულების თარიღი	20.10.2015
რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ ანგარიშის მოწონების თარიღი	23.10.2015

2. საანგარიშო პერიოდში პროგრამის განხორციელების შესახებ ძირითადი ინფორმაცია

ნაწილი 1. საანგარიშო პერიოდში პროგრამის განხორციელების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია რეგიონული განვითარების პროგრამის ფინანსური და ფიზიკური პროგრესის შედარებითი ანალიზი. შერჩეული ინდივიდუალური ღონისძიებების განხორციელების პროგრესის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოყვანილია შესაბამისი 6 თვის საინფორმაციო ფურცლებში, რომლებიც მომზადდა ყველა ჩართული სამინისტროს მიერ და მიეწოდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2015 წლის ივლისის ბოლოს.

ფინანსური პროგრესის შეჯამება

2015 წლის ივნისის ბოლოსთვის რგპ-ში მოცემული ღონისძიებების განხორციელების ხარჯებმა 395.5 მილიონი ლარი შეადგინა, რომელიც რგპ-ს მონიტორინგის გეგმის #6 დანართში წარმოდგენილი ფინანსური ცხრილის მიხედვით მთელი წლის მანძილზე დაგეგმილი მთლიანი ასათვისებელი თანხის 33.3 %-ია. ანალიზის საფუძველზე (იხ. გრაფიკი 1) შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში არსებობს განსხვავებები ღონისძიებების დროული განხორციელების კუთხით.

<u>გრაფიკი 1</u>. 2015 წლის ივნისის ბოლომდე პრიორიტეტის დონეზე 2015 წლისთვის გამოყოფილი თანხის ათვისებული წილი.



გამოყოფილი თანხიდან გახარჯული თანხის პროცენტული მაჩვენებლი შემდეგია: პრიორიტეტი #4 - „ტურიზმის განვითარება“ (65.5%) და პრიორიტეტი #3 - „სოფლის მეურნეობის განვითარება“ (46,1%). ღონისძიებების დონეზე პროგრამის განხორციელების პროგრესის მაღალი დონით (ცხრილი 2) გამოირჩევა:

- 4.1 ტურიზმის ხელშეწყობა - გამოყენებული თანხის 65.5% რგპ-ს მონიტორინგის გეგმის #6 დანართის მიხედვით;
- 1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება - თანხის 63.9% და 1.2 მყარი ნარჩენების მართვა 56.3% - პრიორიტეტი #1-დან განსაკუთრებით მაღალი შესრულებით გამოირჩევიან;
- 3.3 სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები - 49,1%, სადაც განსაკუთრებით კარგი პროგრესი შეიმჩნევა ყველაზე დიდი პროგრამის ფარგლებში (41,8 მლნ ლარი უნდა გაიხარჯოს რგპ-ს მონიტორინგის გეგმის #6 დანართის მიხედვით) ვაუჩერების დარიგების გზით მცირემიწიანი ფერმერების მხარდაჭერა (გამოყოფილი თანხის 83.6%-ზე მეტი უკვე გახარჯულია); თუმცა, მეორეს მხრივ, არავითარი პროგრესი არ შეიმჩნევა ღონისძიება „5.3. პროფესიული სწავლება და განათლება, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემები“-ში და „3.4. სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარებაში“.
- 3.1 საირიგაციო სისტემების მოდერნიზაცია - 48.3%. ამ ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება მელიორაციის სისტემების მოდერნიზაცია (გათვალისწინებული თანხის 56.4% - 37.9 მილიონი ლარი უკვე ათვისებულია). თუმცა, ამავე ღონისძიებაში ხორციელდება ზემო სვანეთის რეგიონის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტი (ORIO, საბიუჯეტო კოდი 37 01 12 04), რომელშიც ამ ეტაპისთვის, არ შეიმჩნევა არავითარი პროგრესი.

<u>**გრაფიკი 2**</u>**.** პრიორიტეტის დონეზე 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების პროგრესი 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.



ამ ეტაპისთვის, პროგრამების განხორციელების შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება შემდეგი ღონისძიებები:

- 5.2. არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, ახალი რეგიონული პროფესიული სასწავლებლების აგება, აღჭურვა და პერსონალით უზრუნველყოფა- 3 5
- 2.1. საქართველოს რეგიონებში ბიზნესის ხელშეწყობა ინსტიტუციური და პროგრამული აქტივობებით -17.0%;
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 17.4%.
- 1.4. ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და დაცვა - 21.3%
- 5.5. რეგიონებში ადგილობრივ საჯარო მოხელეთა ტრენინგები - 22.2%

3.4 ღონისძიების- „სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს, რადგან დაგეგმილი აქტივობების განხორციელების დაწყება გადაიდო 2016 წლისთვის, ამ დროისთვის არანაირი პროგრესი არ ფიქსირდება. რაც შეეხება ღონისძიება 5.1.-ს, ამ ეტაპისთვის, თანხის გახარჯვა არ დაწყებულა, რადგან გეგმის მიხედვით, 2015 წლის პირველ ნახევარში, კონტრაქტორი კომპანიის მიერ მომზადდა თვისობრივი კვლევის ანგარიში.

ჯერ მეტისმეტად ადრეა იმ ღონისძიებების განხორციელების პროგრესის შეფასება, რომელიც ფიზიკური ინფრასტრუქტურის (მათ შორის გზების) მშენებლობას და მოდერნიზაციას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ პირველი პრიორიტეტის „ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა“ მაჩვენებლები წლის პირველ ნახევარში დაგეგმილი თანხის მხოლოდ 33.3%-ია, ეს ამგვარი პროექტების ბუნებით აიხსნება. ამინდის და კლიმატური პირობების გამო, მათი განხორციელების უდიდესი წილი წლის მეორე ნახევარზე მოდის. სამინისტროების მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონტრაქტებისა და სამუშაოს რაოდენობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი ის ნაწილი, რომელიც გზის სისტემის გაფართოებას და მოდერნიზაციას ეხება, მოიცავს მნიშვნელოვანი გზების მშენებლობას, რაც წლის ბოლოსთვის ფინანსური გეგმის შესრულების საწინდარია და გამოყოფილი თანხის აუთვისებლობის მცირე საფრთხე არსებობს.

ამ ეტაპისთვის, შესრულების დაბალი დონე შეიმჩნევა შემდეგი მიმართულებებით: მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა, ადამიანური რესურსების და მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება. აღნიშნული ღონისძიებების გახორციელებასთან დაკავშირებული ბარიერები უფრო დეტალურად მოცემულია ქვემოთ (იხ. ნაწილი 3).

სამინისტროებისა და განმახორციელებელი უწყებების მიერ მომზადებულ 6 თვის საინფორმაციო ფურცლებში, მას შემდეგ რაც, რგსკ-ს მიერ 2014 წლის დეკემბრის ბოლოს რგპ-ს მონიტორინგის გეგმა დამტკიცდა, ზოგიერთი ღონისძიებისთვის ფინანსების გამოყენებასთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებები შევიდა.კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება, განსაკუთრებით კი, ღონისძიება 3.3 - „სოფლის მეურნეობის სხვა პროგრამები“ (70,6 მლნ ლარიდან 132.6 მლნ ლარამდე). ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილებებია პროცენტული მაჩვენებლების კუთხით 4.1 ღონისძიების- „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“ შემთხვევაში (10,0 მლნ ლარიდან 14.5 მლნ ლარამდე გაიზარდა). ამავდროულად, მცირედი მატება დაფიქსირდა რეგიონული განვითარების ფონდის შემთხვევაშიც (160 მლნ ლარიდან გაიზარდა 170 მლნ ლარამდე).

მთლიანობაში, დაგეგმილი ხარჯების მთლიანი მოცულობა 2015 წლისთვის რგპ-ს ფარგლებში შეადგინა 1187.6 მლნ ლარი.

რგპ-ს განხორციელების პირველ თვეებში მომხდარი ცვლილებები, რა თქმა უნდა, გავლენას იქონიებს გამოყენებული თანხის პროცენტულ მაჩვენებელზე. უფრო მეტი სიცხადისთვის, მიმაგრებული ცხრილი 3 გვიჩვენებს ხარჯებს:

- დათვლილს თავდაპირველი ფინანსური სამიზნეების მიხედვით, რომელიც 2015 წლის ფინანსურ ცხრილშია გაწერილი - რგპ-ს მონიტორინგის გეგმის დანართი #6 ;
- დათვლილს ახალი ციფრების მიხედვით, რომლებიც სამინისტროების მიერ მოწოდებულ 6 თვის საინფორმაციო ფურცლებშია მოცემული.

ევროკავშირის საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამის პოლიტიკის მატრიცის პირობების ცხრილში გაწერილი ფინანსური სამიზნეების მიღწეული პროგრესის გაზომვასთან დაკავშირებით პრობლემების თავიდან ასაცილებლად, (რგპ-ს ფინანსური რესურსების მინიმუმ 70% ათვისება 2015 და მომდევნო წლებში) აუცილებელია რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ რგპ-ს მონიტორინგის გეგმის ფინანსურ ცხრილში (დანართი #6) შეიტანოს ცვლილებები 2015 წლის წლიური ანგარიშის მომზადებამდე.

ცხრილში #3 მწვანედ არის აღნიშნული ის აქტივობები, რომლებიც შემოთავაზებულია დასამატებლად განმახორციელებელი სამინისტროებისა და უწყებების მიერ. (ძირითადად, სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით, რაც დამატებით ამ პრიორიტეტისთვის გამოყოფილ თანხას ზრდის). წითლად აღნიშნულია ის აქტივობები, რომლებიც უნდა წაიშალოს ან გადავიდეს სხვა ღონისძიებებში.

ფიზიკური პროგრესის შეჯამება

2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ფიზიკური პროგრესის აღწერისას გარკვეული განმარტებების მოყვანაა საჭირო. რგპ-ს მონიტორინგის გეგმის დანართში #5, რომელიც რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ 2014 წლის დეკემბერში დაამტკიცა, ინდივიდუალური ღონისძიებებისთვის გარკვეული რაოდენობის ინდიკატორებია გაწერილია, თუმცა, სამიზნეებთან მიმართებაში მათი რაოდენობრივი განსაზღვრა არ მომხდარა არც 2015 და არც 2016-2017 წლებისთვის. 2015 წლის პირველ ნახევარში, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ევროკომისიის თხოვნით, სამინისტროების ძალისხმევით დასახული ინდიკატორებისათვის სამიზნე ღირებულებების განსზღვრა მაინც მოხერხდა. (2015 წლისთვის). იმ შემთხვევებში, როდესაც სამინისტროების შეფასებით შეთანხმებული ინდიკატორებისთვის სამიზნეების განსაზღვრა, მონაცემების სიმცირის თუ პროექტების მონიტორინგის სისტემის განსხვავებულობის გამო, შეუძლებელი იყო, მათ მიერ ახალი ინდიკატორები იქნა შეთავაზებული. ამიტომ ცხრილი #3 წარმოადგენს მნიშვნელოვნად შეცვლილ ფიზიკური ინდიკატორების განხორციელების პროგრესს და მათ სამიზნეებს, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს რგპ მონიტორინგის გეგმის დანართში #5 (ზემოაღნიშნულ #6 დანართში საჭირო ცვლილებებთან ერთად). დანარჩენი ხარვეზები, რომლებიც ინდიკატორებისთვის სამიზნეების განსაზღვრას უკავშირდება (ღონისძიებისთვის 1.3 - „წყლის მომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია“; ნაწილობრივ ღონისძიებისთვის 3.3 - „სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა პროგრამები“; 4.1 - ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; 5.3 - სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების, გადამზადებისა და ინოვაციების სისტემები და სხვები) სამინისტროების მხრიდან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. ამ სამიზნეების განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს ღონისძიებების და მთლიანად 2015-2017 წლების რგპ-ს ეფექტური და ეფექტიანი განხორციელებისთვის.

#3 ცხრილზე და სამინისტროების და განმახორციელებელი უწყებების მიერ დამატებით მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2015-2017 წლების რგპ-ს ფიზიკური

განხორციელების პროგრესი დადგენილ სამიზნეებთან მიმართებაში შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

- ინფრასტრუქტურული ღონისძიებების უმეტესობა აქტიურად მიმდინარეობს; გათვალისწინებული პროექტებიდან ყველა ან დიდი უმრავლესობა განხორციელების ფაზაშია. ეს წლის ბოლომდე ყველა პროექტის სრული განხორციელების საშუალებას და დასახული სამიზნეების მიღწევის საშუალებას იძლევა, რომელიც ახალ აშენებულ ან მოდერნიზებულ გზებს (კმ), წყალარინების სისტემებს, წყალსადენებს, აშენებულ ან განახლებულ ხიდებს, რეაბილიტირებულ ნაგავსაყრელებს და ა.შ. უკავშირდება.
- ღონისძიებასთან 1.4 - "ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და დაცვა" დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების ფიზიკური განხორციელება დამოკიდებულია არა მხოლოდ შემუშავებულ გეგმებზე, არამედ იმ საჭიროებებზე, რომელიც გაუთვალისწინებელი ბუნებრივი კატასტროფების შედეგად შეიძლება წარმოიშვას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ღონისძიების ფარგლებში, ჰოლანდიის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი სახიფათო ნარჩენების განკარგვასთან დაკავშირებით. ამ პროექტის ფარგლებში უკვე 40000 ტონა (დაგეგმილია 50000 ტონა 2015 წლის ბოლომდე) დაბინძურებული ნიადაგების (მიწების) უსაფრთხოდ განთავსება განხორციელდა.
- რაც შეეხება რეგიონული განვითარების ფონდს, შესაბამისი 6 თვის საინფორმაციო ფურცელი მოიცავდა ინფორმაციას არა მხოლოდ განხორციელებულ პროექტებზე, არამედ იმ პროექტებზე, რომლებიც განხორციელების პროცესშია. პროგრამის მთავარი მიმართულება რეგიონში გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია, წყლის მიწოდება და საბავშვო ბაღების სარემონტო სამუშაოებია. რეგიონებში გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით ხორციელდებასხვა ტიპის პროექტებიც. მათ შორის: სპორტი და კულტურული ნაგებობები, ქუჩის განათება, სანიაღვრე სისტემები და ასევე სოციალურად დაუცველიმოქალაქეებისთვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია. თუმცა, როგორც #3 ცხრილში ჩანს, 2015 წლის პირველი ნახევრის ბოლოს პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სამუშაოების დაწყებას ელოდება, რაც ფინანსური პროგრესის დაბალ მაჩვენებელთან ერთად, გამოყოფილი თანხის წლის ბოლომდე სრულად აუთვისებლობის კუთხით საფრთხედ შეიძლება ჩაითვალოს.
- გარკვეულწილად, რთულია მიღწეული პროგრესის შეფასება #5 პრიორიტეტის- „ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება და პროფესიული განათლების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარება სუბ-ნაციონალურ დონეზე”ფარგლებში. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია დადგენილი რაოდენობრივი სამიზნეების სიმცირით ღონისძიებებისთვის 5.3 - „სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების, გადამზადებისა და ექსტენციის სისტემები“, 5.4 - „პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის პირველ ნახევარში 5.3 ღონისძიების ფარგლებში 20 მასწავლებელი გადამზადდა, მოხდა 19 პროექტის მხარდაჭერა სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით და ორგანიზება გაეწია 25 სასწავლო ტურს იმ პირთათვის, რომლებიც პროფესიული განათლებისა და სწავლების მომსახურებას ეწევიან. გარდა ამისა, 5.4 ღონისძიების ფარგლებში 500-ზე მეტი პროფესიული განათლების მასწავლებელი გადამზადდა. განხორციელების დაბალი ფინანსური პროგრესი ღონისძიების ფარგლებში 5.2 - „არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, ახალი რეგიონული პროფესიული სასწავლებლების აგება, აღჭურვა და პერსონალით უზრუნველყოფა“ დაბალ ფიზიკურ პროგრესში აისახება - 2015 წლის პირველ ნახევარში 5 პროფესიული კოლეჯი გარემონტდა, ასევე, 2 ახალი (2017 წლის ბოლომდე გათვალისწინებულია 15) მომზადების პროცესშია. 5.5 ღონისძიების- „საჯარო მოხელეთა გადამზადება“ განხორციელების პროგრესი დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს - მომზადდა 10

სასწავლო პროგრამა და შესაბამისად გადამზადდა 758 საჯარო მოხელე მუნიციპალიტეტებსა და გუბერნატორის ადმინისტრაციებში.

- სხვადასხვა პოლიტიკის სფეროსთვის გათვალისწინებული სამართლებრივი და კონცეპტუალური ბაზისის განხორციელების პროგრესი დადებითად უნდა შეფასდეს: როგორც დაგეგმილი იყო 2015 წლის პირველ ნახევარში მომზადდა შემდეგი დოკუმენტები: შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა (ღონისძიება 5.1) და საკანონმდებლო ბაზა ტყის ინვენტარიზაციისთვის (ღონისძიება 1.4).

ნაწილი 2. საანგარიშო პერიოდში ღონისძიებების დონეზე პროგრამის განხორციელებისას მიღწეული პროგრესი, რაც დასახული მყისიერი შედეგებისა და ფინანსური მაჩვენებლების თვალსაზრისით განიხილება.

<u>ცხრილი 2</u> საანგარიშო პერიოდში პროგრამის განხორციელების ფინანსური პროგრესი ღონისძიებების მიხედვით.

ღონისძიება	შესაბამისი საბიუჯეტო კოდი	საბიუჯეტო კოდის ან აქტივობის დასახელება	რგპ-ს განხორციელების ბოლოს სავარაუდო ხარჯები (2017 წლის ბოლო) იხ. დანართი #6	2015				კუმულაციური დანახარჯი დღემდე
				სამიზნე ღირებულება (შეთავაზებული შესწორება) მლნ. ლარი /%	ფაქტიური ხარჯი			
					I ნახევარი მლნ. ლარი / %	II ნახევარი	კუმულაციური	
1. ფიზიფური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა	სულ		2416.65	723.18	240.14		240.14	240.1

მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					33.206117 43	33.206117 43	33.2
1.1. შიდა და ეროვნული მნიშვნელობის გზები	სულ კოდიდან 25 02 (გამოკლებით 25 02 02 05 და25 02 02 07 კოდებისა)		1875.8	557.2	179.3	179.3	179.3
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					32.178750 9	32.178750 9	32.1
	25 02 02 (გამოკლებით 25 02 02 05 და 25 02 02 07 კოდებისა)		911.6	250.7	93.6	93.6	93.6
	25 02 03	ჩქაროსნული ავტომაგისტრალებ ის მშენებლობა	964.2	306.5	85.7	85.7	85.7
1.2. მყარი ნარჩენების მართვა	სულ კოდ‹ დან 25 03		84.7	11.2	6.3	6.3	6.3

მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					56.25		56.25	56.25
	ნაწილი კოდიდან 25 03 08	საქართველოს მყარი ნარჩენების მართვა	40	10	6.2		6.2	6.2
	25 03 09	ქუთაისის ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EU. KFW)	44.7	1.2	0.1		0.1	0.1
1.3. წყლის მომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია	**სულ კოდიდან 25 04**		**368.9**	**129.6**	**49.2**		**49.2**	**49.2**
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					37.96		37.96	37.9
	25 04 01	ქობულეთის წყლის სისტემა(MDF)	3	1	0.5		0.5	0.5

	25 04 02	წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (EIB)	2.1	2.05	0.8		0.8	0.8
	25 04 03	წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (EIB, EU)	62	33	8.1		8.1	8.1
	25 04 04	საკანალიზაციო სისტემის მდგრადი მართვის პროექტი (SIDA)MDF	14.5	5.55	0.2		0.2	0.2
	25 04 05	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროექტი	254.3	80	37.7		37.7	37.7
	25 04 06	რეგიონში წყლით უზრუნველყოფის მხარდამჭერი აქტივობები MDF	33	8	1.9		1.9	1.9
1.4 ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და დაცვა	სულ კოდიდან 25 02 და 38 07		80.35	23.35	4.98		4.98	4.9
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					21.33		21.33	21.3

ქვე-ღონისძიება (ა): ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების გზით კატასტროფების რისკის შემცირება	25 02 02 05	ბუნებრივ კატასტროფებზე დაუყოვნებელი რეაგირებისა და პრევენციული ღონისძიების სამუშაოები	20.5	7.5	3.2		3.2	3.2
	25 02 02 07	ნაპირსამაგრი სამუშაოები	31	6	1.6		1.6	1.6
ქვე-ღონისძიება (ბ): ძველი დაბინძურებული სამრეწველო ობიექტები	38 00 + დამატებითი რესურსები (ჰოლანდიის მთავრობის წილი)	სამრეწველო ნარჩენების შემცირება საქართველოში (ჰოლანდიის მთავრობის მხარდაჭერით)	0.35	0.35	0.18		0.18	0.1
	38 07	გარემოს დაცვა, მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (მხოლოდ საკითური რესურსები)	28.5	9.5			0	
1.5 საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება	**სულ კოდიდან 38 04**		**6.9**	**1.83**	**0.36**		**0.36**	**0.36**

მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					19.67		19.67	19.67
	38 04 02	ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები	2.5	0.55	0.17		0.17	0.2
	38 04 03	ტყითსარგებლობის ღონისძიებები	1.3	0.25	0.09		0.09	0.1
	38 04 04	ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებები	1.8	0.3	0		0	0
	38 04 05	ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები	1.3	0.73	0.1		0.1	0.1
2. მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა			**78.1**	**21.7**	**3.7**		**3.7**	**3.7**
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					17.05		17.05	17.05
2.1 ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოს რეგიონებში პროგრამული და ინსტიტუციონალური ინიციატივების საშუალებით	**24 01 03 02**	ექსპორტის მხარდამჭერი ღონისძიებები	**78.1**	**21.7**	**3.7**		**3.7**	**3.7**

3. სოფლის მეურნეობის განვითარება			700.4	243.02	111.50		111.50	111.5
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					45.88099745		45.88099745	45.8
3.1 საირიგაციო სისტემების მოდერნიზება	სულ კოდიდან 37 01		291.75	79.25	38.3		38.3	38.3
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					48.33		48.33	48.3
	37 01 12 03	სარწყავი და სადრენაჟო სისტემები (მსოფლიო ბანკი)	55.8	12	0.4		0.4	0.4
	37 01 03 37 01 12 04	სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია (ORIO)	212 23.95	67.1 0.15	37.9		37.9 0	37.9
3.2 ფინანსებზე წვდომა (იგივე შეღავთიანი აგრო კრედიტი)	სულ		130	30	8.00		8.00	8

მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					26.67		26.67	26.7
	37 01 07	**შეღავათიანი აგრო კრედიტები**	130	30	8.00		8.00	8
3.3 სოფლის მეურნეობის დარგში დაგეგმილი სხვა პროგრამები	სულ კოდიდან 37		**275.6**	**132.6**	**65.2**		65.2	**65.2**
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით				132.6	49.17		**49.17**	**49.17**
	37 01 05	სოფლის მეურნეობის კოოპერატივების შექმნის მხარდამჭერი აქტივობები	20.5	3.3	0.4		0.4	0.4
	37 01 08	მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო აქტივობების მხარდაჭერა: ვაუჩერები	50	50	41.8		41.8	41.8

	37 01 11	სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი კომპანიების თანადაფინანსება	20	20			0	
	37 01 12 01	სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი აქტივობები(IFAD)	4.7	4.7	3.9		3.9	3.9
შემოთავაზებული ახალი აქტივობა	37 02	სურსათისუვნებლობა. მცენარეთა დაცვა და ეპიზოტიკურ იუსაფრთხოება	77.7	24.7	12.5		12.5	12.5
შემოთავაზებული ახალი აქტივობა	37 03	მევენახეობის განვითარება	72.7	19.9	3.7		3.7	3.7
შემოთავაზებული ახალი აქტივობა	37 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	30	10	2.9		2.9	2.9

3.4. სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება	26 14	მსოფლიო ბანკის სესხის ფარგლებში განხორციელდება პროექტი „ირიგაცია და მიწის ბაზრის განვითარება“ (იუსტიციის სამინისტრო)	3.0	1.2	0		0	0
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით		მიღწეული პროგრესისი პროცენტული მაჩვენბელი			0 0		0 0	0 0
4. ტურიზმის განვითარება			34.5	14.5	9.5		9.5	9.5
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					65.52		65.52	65.52
4.1 ტურიზმის ხელშეწყობა	24 05 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	34.5	14.5	9.5		9.5	9.5

მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					65.52		**0.00**	**65.52**
5. ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაეროვნულ და სუბ-ნაციონალურ დონეებზე			**28.5**	**16.45**	**0.7**		**0.7**	**0.7**
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					4.255319149		4.255319149	4.2
5.1. შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა	ნაწილი კოდიდან 3505 ***	შრომის პირობების მონიტორინგი	0.9	0.3	0	0	0	0

მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					0		0	0
5.2 ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა. არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია. აღჭურვა და ადამიანური რესურსების განვითარება	32 05 02 02	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	22	14	0.5		0.5	0.5
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					12.7		12.7	12.7
5.3. პროფესიული სწავლება და განათლება. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემები	მლნ დოლარში	ეს სახსრები არ გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არ გააჩნია საბიუჯეტო კოდი	3.5	1.5	0		0	0
5.4. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი და უწყვეტი პროფესიული განვითარება	კოდიდან 32 02 02	მასწავლებელთა პროფესიულიგანვითარების მხარდაჭერა	0.8	0.2	0.1		0.1	0.1

მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					50		50	50
5.5. რეგიონებში ადგილობრივ საჯარო მოხელეთა ტრენინგები	მლნ დოლარში	ეს სახსრები არ გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არ გაჩნია საბიუჯეტო კოდი	1.3	0.45	0.1		0.1	0.1
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					22.22222222		22.22222222	22.2
რეგიონული განვითარების ფონდი	**ნაწილი კოდიდან 5808 (იხილეთ სქოლიო)**	**საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**	**170**	**170**	**29.6**		**29.6**	**29.6**

მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					17.41176471		17.41176471	17.4
გურია	58 08	რეგიონული განვითარების ფონდი		12.4	1.1		1.1	1.1
იმერეთი	58 08	რეგიონული განვითარების ფონდი		42.7	7.6		7.6	7.6
კახეთი	58 08	რეგიონული განვითარების ფონდი		20.9	4.4		4.4	4.4
მცხეთა მთიანეთი	58 08	რეგიონული განვითარების ფონდი		8	0.4		0.4	0.4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	58 08	რეგიონული განვითარების ფონდი		8	1.1		1.1	1.1
სამეგრელო ზემო-სვანეთი	58 08	რეგიონული განვითარების ფონდი		31.5	6.5		6.5	6.5

სამცხე-ჯავახეთი	58 08	რეგიონული განვითარების ფონდი		13.3	1.3		1.3	1.3
ქვემო ქართლი	58 08	რეგიონული განვითარების ფონდი		19.7	4.1		4.1	4.1
შიდა ქართლი	58 08	რეგიონული განვითარების ფონდი		12.4	3.1		3.1	3.1
მთლიანად			3428.1	1188.9	395.14		395.14	395.1
მიღწეული პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის შეცვლილი სამიზნე ღირებულების მიხედვით					33.237162		33.237162	33.2

ცხრილი 3. საანგარიშო პერიოდში 2015-2017 წლების რგპ-ს განხორციელების პროგრესი მყისიერი შედეგის ინდიკატორების და ღონისძიების მიხედვით

#	ღონისძიება	მყისიერი შედეგების ინდიკატორები						
		ინდიკატორი (ინდიკატორების სია იხილეთ დანართში #5)	საზომი ერთეული	სამიზნე ღირებულება 2017 წლის და 2015 წლის ბოლომდე	2015			კუმულაციური მაჩვენებელი დღემდე
					I ნახევარი	II ნახევარი	კუმულაციური	
1	1.1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები	გზების რეაბილიტაცია და პერიოდული მოვლა-პატრონობა.	კმ	700 (2017)	55		55	55
2		ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა	კმ	100 (2017)	0		0	0
3		ხიდების რეაბილიტაცია/მშენებლობა	ერთეული	150 (2017)	3		3	3
4	1.2. მყარი ნარჩენების მართვა	ახალი ნაგავსაყრელების რაოდენობა	ერთეული	0	0		0	0
5		ძველი შეჩერებული ნაგავსაყრელების რაოდენობა	ერთეული	17 (2015)	0		0	0
6		კეთილმოწყობილი ნაგავსაყრელების რაოდენობა	ერთეული	22 (2015)	9		9	9
7		ახალად გახსნილი ნაგავსაყრელების რაოდენობა	ერთეული	0	0		0	0
8		შეჩერებული ძველი ნაგავსაყრელების ტერიტორია	ჰა	39 (2015)	0		0	0
9		რეაბილიტირებული ნაგავსაყრელების ტერიტორია	ჰა	127 (2015)	49		49	49
10	1.3 წყალმომარაგება, კანალიზაციის სისტემების მშენებლობა / რეაბილიტაცია	აშენებული და რეაბილიტირებული სათავე ნაგებობების რაოდენობა	ერთეული	არ არის სამიზნე ღირებულება	0			0
11		აშენებული საფილტრაციო ნაგებობების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0		0	0
12		ახალად გამრიცხველიანებული აბონენტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0		0	0
13		რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული საკანალიზაციო სისტემის მილების სიგრძე	კმ	არ არის სამიზნე ღირებულება	0,24		0	0,24
14		რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული წყალმომარაგების მილების სიგრძე	კმ	არ არის სამიზნე ღირებულება	43		0,24	43
15		ახალი აბონენტების რაოდენობა რომლებიც საკანალიზაციო სისტემას შეუერთდნენ	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	296		43	296
16		ახალი აბონენტების რაოდენობა, რომლებიც წყლის სისტემას შეურთდნენ	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულე	525		296	525

				ბა				
17	1.3. ბუნებრივი კატასტროფებ ი ს რისკის შემცირება და მისგან დაცვა და ძველი დაბინძურებუ ლი სამრეწველო ობიექტების ტერიტორიების მართვა	ანალიტიკური კვლევების რაოდენობა რომელიც მიზნად ისახავს შესაძლო ბუნებრივი საფრთხეების განსაზღვრას მათ შორის რეკომენდაციებიც	რაოდენ ობა	1	1			
18		რეგიონული ბუნებრივი საფრთხეების / კატასტროფების პროგნოზირების ადრეული გაფრთხილების სისტემა	რეგიონე ბის რაოდენ ობა	9	9			
19		ბუნებრივი საფრთხეების პრევენციული ღონისძიებების მუნიციპალური გეგმები	რაოდენ ობა	მოწყვლადი მუნიციპალ იტეტებისთ ვის	1 თბილ ისი			
20		ნაპირსამაგრი სამუშაოები	პროექტე ბის რაოდენ ობა	50 (2017)	11		11	11
21		პრევენციისა და ბუნებრივი კატასტროფების დაუყოვნებელი რეაგირების სამუშაოები	პროექტე ბის რაოდენ ობა	70 (2017)	22		22	22
22		უსაფრთხოდ განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობა	ტონა	50 000 (2015)	40000		40000	40000
23	1.5. საქართველოს ტყის ინვენტარიზაცი ა და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება	ნორმატიული დოკუმენტების რაოდენობა (ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ბაზა)	რაოდენ ობა	2	2			
24		სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოში გადამზადებული სპეციალისტების რაოდენობა	რაოდენ ობა	300 (2015) 900 (2017)	240		240	240
25		ტყის სანიტარული პირობების გაუმჯობესება	ჰა	26,800 (2015) 86,800 (2017)	26000		26000	26000
26		სატყეო გზების რეაბილიტაცია	კმ	250 (2015) 750 (2015)	0		0	0
27		რეგიონული სატყეო რაიონების რაოდენობა აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუმენტებით	რაოდენ ობა	46 (2015)	46		46	46
28	2.1. ინსტიტუციონა ლური და პროგრამული აქტივობებით საქართველოს რეგიონებში ბიზნესის ხელშეწყობა	ახლად შექმნილი ბიზნესები	ბიზნესე ბის რაოდენ ობა	44 (2015)	31		31	31

29		განახლებული ბიზნესები	ბიზნესების რაოდენობა	20 (2015)	16		16	16
30		პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ღირებულება	ლარი	145 MGEL (2015)	86 358 713		86 358 713	86 358 713
		ვისი მთლიანი ინვესტიცია?	ლარი	210 MGEL (2015)	131 06 9 194		131 06 9 194	131 069 194
31		რეგიონებში შექმნილი მიკრო და მცირე ბიზნესები (მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ნაწილი)	რაოდენობა	3 030 (2017)	0		0	0
32		ახლად შექმნილი სამუშაო ადგილები	რაოდენობა	2 530 (2015)	0		0	0
33		გადამზადებული ბენეფიციარები (მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ნაწილი)	რაოდენობა	5 800 (2017)	0		0	0
34	3.1 სასოფლო წყლის მართვის გაუმჯობესება	ირიგაციის რეაბილიტირებული და ახალი პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	46		46	46
35		დამატებით გასარწყავებული მიწის ნაკვეთების ფართობი	ჰა	44,400 (2017)	4123		4123	4123
36		გამართული სადრენაჟო სისტემის მქონე მიწის ფართობი	ჰა	18,600 (2017)	975		975	975
37	3.2 ფინანსებზე გაუმჯობესებულიწვდომა	ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ახალი საწარმოებისა და ფერმების რაოდენობა	რაოდენობა	50 (2017)	5		5	5
38		ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების რაოდენობა	რაოდენობა	2500 (2017)	1938		1938	1938
39	3.3 სოფლის მეურნეობის განვითარების სხვაპროგრამები	იმ საკვები და აგრობიზნესის საწარმოების რაოდენობა, რომელთა მონიტორინგიც ხდება სურსათის უვნებლობის ღონისძიებების თვალსაზრისით	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	3239		3239	3239
40		დასრულებული ან პროცესში მყოფი კვლევითი პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	43		43	43
41		ქართული ღვინის ხელშეწყობის კამპანიის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებების რაოდენობა	რაოდენობა	34 (2015)	24		24	24
42		შექმნილი სასოფლო კოოპერატივების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება რგის	1009		1009	1009
43		სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლისთვის ჩატარებული ტესტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	1144		1144	1144
44		სადემონსტრაციო ნაკვეთებისთვის მომზადებული მიწის ფართობები	ჰა	30 (2015?)	30		30	30
45	3.4 სასოფლო მიწის ბაზრის განვითარება	მიწის რეგისტრაციის შესახებ მიღებული სტრატეგია	რაოდენობა	1	1		1	1
46		მიწის საკუთრების შესახებ შემუშავებული კანონმდებლობა	რაოდენობა	1	1 (პროექტი)		1 (პროექტი)	1 (პროექტი)
47	4.1. ტურიზმის განვითარება	დასრულებული რეგიონული კვლევების რაოდენობა;	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	?		?	?

48		შექმნილი საინფორმაციო ცენტრების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0		0	0
49		ჩატარებული გადამზადების კურსებისა რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	9		9	9
50		გადამზადების კურსების მონაწილეთა რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	770		770	770
51		მარკეტინგული აქტივობების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	65		65	65
52		განვითარებული „ტურიზმის პროდუქტის“ რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	4		4	4
53	5.1 შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა	მომზადებული შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა	რაოდენობა	1	1		1	1
54	5.2 არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია ახალი რეგიონული პრფესიული სასწავლებლების აგება აღჭურვა და პერსონალით უზრუნველყოფა	აგებული /განახლებული, აღჭურვილი და პერსონალით უზრუნველყოფილი ახალი სასწავლებლების რაოდენობა კონკრეტულ დონეზე	რაოდენობა	15 (2017)	2 (მომზადების პროცესშია)		2 (მომზადების პროცესშია)	2 (მომზადების პროცესშია)
55		კერძო სექტორის მონაწილეობით აგებული /განახლებული, აღჭურვილი და პერსონალით უზრუნველყოფილი ახალი სასწავლებლების რაოდენობა კონკრეტულ დონეზე	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	5		5	5
56	5.3. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიულიგანათლების გადამზადებისა დ აექსტენციის სისტემები	გადამზადებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ექსტენციის სისტემის მომსახურე პერსონალის რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	20		20	20
57		სასწავლო გარემოს გაუმჯობესების (ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალა და აღჭურვილობა) მიზნით მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	19		19	19
58		იმ პროფესიული სასწავლებლებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების რაოდენობა, რომელთაც სოფლის მეურნეობაში ეფექტური და ინოვაციური სასწავლო პროგრამები	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0		0	0

		და საკონსულტაციო მომსახურებისგაწევის უნარი გააჩნიათ.						
59		გადამზადებული სასოფლო-სამეურნეო სექტორის მომსახურების გამწევთა რაოდენობა (ვეტერინარები, ზოო-ტექნიკოსები, საკვების გადამამუშავებლები, სასოფლო-სამეურნეო, სამანქანო ოპერატორები, წარმოების საშუალებების მიმწოდებლები და ცხოველთა საკვების გადამამუშავებლები)	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	25 სასწავლო ტური		25 სასწავლო ტური	25 სასწავლო ტური
60		ისეთი პლატფორმის შექმნა, სადაც პროექტის საჯარო და კერძო მონაწილეების მხრიდან სრული და თანაბარი ჩართულობა იქნება და რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადამზადებისა და ექსტენციის სერვისების დანერგვას უზრუნველყოფს.	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	შეიქმნა 2 თემატური ჯგუფი		შეიქმნა 2 თემატური ჯგუფი	შეიქმნა 2 თემატური ჯგუფი
61	5.4. პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება	პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის პროფესიული განვითარების სისტემის ფორმირება	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	მომზადების პროცესშია		მომზადების პროცესშია	მომზადების პროცესშია
62		ტრენინგების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	????		????	????
63		გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	519		519	519
64		რეალურ სამუშაო გარემოში (საწარმოებში) გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0 მონაცემთა ბაზა და კონცეფცია		0 მონაცემთა ბაზა და კონცეფცია	0 მონაცემთა ბაზა და კონცეფცია
65		რეალურ სამუშაო გარემოში ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	რაოდენობა	არ არის სამიზნე ღირებულება	0		0	0

66	5.5. რეგიონებში საჯარო მოხელეთა გადამზადება	მუნიციპალიტეტების რაოდენობა ეფექტური ადამიანური რესურსების მართვის შემუშავებული პოლიტიკით	რაოდენობა	10 (2017)	2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდის მიხედვით სასწავლო კონცეფცია და სისტემა განვითარებულია		2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდის მიხედვით სასწავლო კონცეფცია და სისტემა განვითარებულია	2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდის მიხედვით სასწავლო კონცეფცია და სისტემა განვითარებულია
67		ახალი ტრენინგ პროგრამების რაოდენობა (კურიკულუმები)	რაოდენობა	12 (2017)	11		11	11
68		მუნიციპალიტეტებისა და სწავლების მიმწოდებელთა მიერ განხორციელებული ერთობლივი მოქმედებების რაოდენობა	რაოდენობა	12 (2017)	0		0	0
69		ორგანიზებული ტრენინგების დღეების/ადამიანების რაოდენობა	დღეების /ადამიანების რაოდენობა	4500 (2017	1541 (38 სასწავლო კურსი)		1541 (38 სასწავლო კურსი)	1541 (38 სასწავლო კურსი)
70		ტრენინგ გავლილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა რაოდენობა (სქესის ნიშნით განცალკევებული)	რაოდენობა	2000აქედან 600ქალი და 1400 კაცი	758 ადგილობრივი მოხელე (338 ქალი/ 430 კაცი)		768 ადგილობრივი მოხელე (338 ქალი/ 430 კაცი)	768 ადგილობრივი მოხელე (338 ქალი/430 კაცი)
71	რეგიონული განვითარების ფონდი	გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია	მეტრი	462,244 (2015)	56,410 (281,095 მიმდინარეობს)		56,410 (281,095 მიმდინარეობს)	56,410 (281,095 მიმდინარეობს)
72		წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა/რეაბილიტაცია	მეტრი	454,891 (2015)	14,042 (200,770 მიმდინარეობს		14,042 (200,770 მიმდინარეობს	14,042 (200,770 მიმდინარეობს
73		წყალმომარაგების სიტემების სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების რაოდენობა	49 (2015)	0 (37 მიმდინარეობს)		0 (37 მიმდინარეობს)	0 (37 მიმდინარეობს)
74		საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტების	114 (2015)	0 (60		0 (60	0 (60

			რაოდენ ობა		მიმდი ნარეო ბს)		მიმდ ინარე ობს)	მიმდინარე ობს)
75		სპორტული ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტე ბის რაოდენ ობა	23 (2015)	0 (13 მიმდი ნარეო ბს)		0 (13 მიმდ ინარე ობს)	0 (13 მიმდინარე ობს)
76		კულტურული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტე ბის რაოდენ ობა	23 (2015)	0 (13 მიმდი ნარეო ბს)		0 (13 მიმდ ინარე ობს)	0 (13 მიმდინარე ობს)
77		ქუჩის განათება	მეტრი	295,250 (2015)	0 (265,1 4 iმიმდ ინარე ობს)		0 (265,1 4 მიმდ ინარე ობს)	0 (265,14 მიმდინარე ობს)
78		ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტე ბის რაოდენ ობა	12 (2015)	0 (7 მიმდი ნარეო ბს)		0 (7 მიმდ ინარე ობს)	0 (7 მიმდინარე ობს)
79		ნაპირსამაგრი სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	მეტრი	3,649 (2015)	0 (1761 მიმდი ნარეო ბს)		0 (1761 მიმდ ინარე ობს)	0 (1761 მიმდინარე ობს)
80		სანიაღვრე/სადრენაჟე სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია მიმდინარეობს	მეტრი	46,114 (2015)	0 (46,11 4 iმიმდ ინარე ობს)		0 (46,11 4 iმიმდ ინარე ობს)	0 (46,114 iმიმდინარე ობს)
81		მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტე ბის რაოდენ ობა	253 (2015)	0 (196 მიმდი ნარეო ბს)		0 (196 მიმდ ინარე ობს)	0 (196 მიმდინარე ობს)
82		სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	პროექტე ბის რაოდენ ობა	54 (2015)	0 (43 მიმდი ნარეო ბს)		0 (43 მიმდ ინარე ობს)	0 (43 მიმდინარე ობს)

ნაწილი 3. საანგარიშო პერიოდში იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც მიზნების მიღწევის პროგრესზე და ღონისძიების დონეზე დასახული ფინანსური და ფიზიკური მიზნების მიღწევაზე ახდენენ გავლენას

ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც 2015-2017 წლების რგპ-ს განხორციელებაზე მოახდინა გავლენა რამდენიმე ნაწილის ქვეშ შეიძლება შეჯამდეს: მაკროეკონომიკური და ფინანსური სიტუაცია, ადმინისტრაციული შესაძლებლობები, კლიმატური პირობები და ბუნებრივი კატასტროფები და სხვა ფაქტორები.

მაკროეკონომიკური და ფინანსური სიტუაცია

2015 წლის პირველ ნახევარში რეალურმა მშპ-ს ზრდამ 2.6% შეადგინა, რომელიც 2014 წლის იგივე პერიოდთან შედარებით ოდნავ დაბალი მაჩვენებელია. ამავე დროს ლარი/დოლარის გაცვლითი კურსი 15%-ით დაეცა 2014 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით.

ფინანსური სიტუაცია წლის პირველ ნახევარში სტაბილურია, თუმცა მასში გათვალისწინებული შემოსავლების სტრუქტურული ცვლილებების გამო ბიუჯეტის ჩასწორება გახდა საჭირო, რამაც 2015 წლის პირველ ნახევარში პირდაპირი გავლენა იქონია რგპ-ს ზოგიერთი ღონისძიების განხორციელებაზე. უფრო მეტი დეტალებისთვის იხილეთ რგპ-ს მონიტორინგის გეგმის შესწორებული დანართი #6. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონთან შედარებით, შესწორებული ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2015 წლის ივლისში დაამტკიცა, გვაწვდის ცვლილებებს (25 მილიონი ლარით ზრდა) ბიუჯეტის შემოსავლებში, როგორც აგრეგირებულ, ისე ცალკეულ დონეებზე.

საბიუჯეტო შემოსულობების მთლიანი ოდენობა ბიუჯეტის კანონთან შედარებით 139.1 მილიონი ლარით შემცირდა. შემოსულობების შემცირება საგადასახადო შემოსავლების კლებამ (20 მილიონი ლარით) და არაფინანსური აქტივების შეძენის 150 მლნ ლარით შემცირებამ გამოიწვია. გარდა ამისა, შესწორებაში გათვალისწინებულ იქნა ვალდებულებების ზრდა კრედიტებთან (ზრდა 185 მლნ ლარით) და გრანტებთან მიმართებაში (ზრდა 40.9 მლნ ლარით). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილი მთლიანი შემოსავლები 7,444 მლნ ლარის დონეზე 284 მლნ ლარით (3.7%) ნაკლებია ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ დაგეგმილ ღირებულებაზე და 84 მლნ ლარით (1.1%) დაბალია ბიუჯეტის კანონის შესწორებულ ბიუჯეტში დაგეგმილ ღირებულებასთან შედარებით.

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს რაც შეეხება, 2015 წლის ბიუჯეტის ხარჯები აგრეგირებულ დონეზე, ორივე 2015 წლის შესწორებული ბიუჯეტის კანონი და 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი ერთმანეთის მსგავსია. თუმცა მათ კომპონენტებში რამდენიმე სხვაობაა. კერძოდ, არაფინასური აქტივების შეძენა შემცირდა 79.5 მლნ ლარით და ყველა სხვა კომპონენტი გაზრდილია იგივე რაოდენობით: ხარჯები გაზრდილია 11.2 მლნ ლარით, ფინანსური აქტივების შეძენა 28.3 მლნ ლარით და ვალდებულებების გადახდა 40 მლნ ლარით.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილება ითვალისწინებს 14.1 მლნ ლარის (0.9%) შემოსულობებს დარიცხული ვალდებულებებისგან, რაც უფრო მაღალია 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გეგმასთან შედარებით. ეს ზრდა განპირობებულია შიდა ვალდებულებების წმინდა ზრდის შემცირებით 100 მლნ ლარის ოდენობით და დარიცხული უცხოური ვალდებულებების ზრდით 114.1 მლნ ლარით.

რაც შეეხება ძირითად ფისკალურ ინდიკატორებს, 2015 წლის შესწორებული სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის და დამატებითი ფისკალური გეგმის მიხედვით, ფისკალური ბალანსი -3%-ია, მაშინ როცა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით იგივე მაჩვენებელი -3.1% იქნებოდა. ასე რომ, ამ ასპექტში მნიშვნელოვანი სხვაობები არ არის.

ადმინისტრაციული შესაძლებლობები

სამინისტროებისგან და განმახორციელებელი უწყებებისგან მიღებული მონაცემები და ინფორმაცია, მხოლოდ ნაწილობრივ სურათს ქმნის 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებაზე ადმინისტრაციული შესაძლებლობის გავლენასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული შესაძლებლობების ეფექტურობა გაგებულ უნდა იქნას, როგორც პროცედურული,აგრეთვე ინსტიტუციური სისტემის (მათ შორის, ადამიანური რესურსების) უნარი ფინანსური და ფიზიკური სამიზნეების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებ(ებ)ის განხორციელებისა.

ამ კუთხით, რეგიონული განვითარების ფონდის კონტექსტში ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მიზანშეწონილი იქნება ბენეფიციარების მხრიდან პროექტების წარდგენა განხორციელდეს თანამედროვე ელექტრონული

სისტემის დანერგვითა და გამოყენებით, რაც შესაძლებელს გახდის პროექტების შერჩევა-განხორციელების ციკლის მართვის ეფექტიანობის ზრდას. აღნიშნული, აგრეთვე ხელს შეუწყობს შედარებით მცირე ბიუჯეტიანი პროექტების იდენტიფიცირებისა და მათთვის თანხის გამოყოფისთვის არსებული პროცედურების გამარტივებას.

ამინდი და ბუნებრივი კატასტროფები

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შემთხვევაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ცალკეული პროექტების/ღონისძიებების განხორციელებაზე ახდენს გავლენას - კლიმატი, ამინდი და ბუნებრივი კატასტროფებია. ამის შესახებ გზების მშენებლობასთან, მყარი ნარჩენების მართვის პროექტებთან (ღონისძიება 1.2) და ასევე ღონისძიება 1.3 „წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემები“ დაკავშირებით აღნიშნულია შესაბამის ანგარიშში.

სხვა ფაქტორები

სხვა ფაქტორები, რომელებიც დაგეგმილი აქტივობების დროულ განხორციელებაზე ახდენს გავლენას, შემდეგია:

- ძველი სამხედრო პოლიგონის განაღმვა (ქუთაისის ინტეგრირებული მყარი ნარჩენების მართვის პროექტის შემთხვევაში)
- მიწის მფლობელებთან შეთანხმების ხანგრძლივი პროცესი, სადაც ინფრასტრუქტურის განვითარება იგეგმება
- ბოლოდროინდელი ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებამ აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში მიკრო და მცირე სესხების მოთხოვნაზე უარყოფითი გავლენა იქონია; აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს სსიპ “მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ მხრიდან დამატებითი წამახალისებელი კამპანიის წარმოება.
- გამართული სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის სისტემის არარსებობა ართულებს წყლის გამოყენებისა და წყლის მომხმარებელთა კონტროლს.ეს კი, სათანადო საგადასახადო სისტემის განვითარების და წყლის მართვის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ზღუდავს.
- მუნიციპალიტეტების შეზღუდული შესაძლებლობა გადაამოწმონ კერძო ფერმერებისა და ბიზნესების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გაყიდვების შესახებ, აფერხებს ამ უკანასკნელთა მხრიდან ფინანსებზე (სესხებზე) წვდომას; ფინანსური ინსტიტუტებისათვის საკმაო გამოწვევას წარმოადგენს სესხების მონიტორინგი წარმოებული სავაჭრო საქმიანობის ოფიციალური ვერიფიკაციის გარეშე მუნიციპალიტეტების მხრიდან.
- სურსათის ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია ბიზნეს ოპერატორებისა და კომპანიების შესახებ, რაც განაპირობებს მათი მხრიდან საკითხის დასმას შესაბამისი დამატებითი საჭიროებების შესახებ. გარდა ამისა, სააგენტოს არ გააჩნია საკმარისი აღჭურვილობა დაინფიცირებული ტერიტორიების სათანადო ფიტოსანიტარული დამუშავებისთვის. ამასთანავე, იკვეთება რეგიონებში ვეტერინართა შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება.

ნაწილი 4. 2015-2017 წლების რგპ-ს მართვასთან, განხორციელებასა და პროგრამირებასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციები

პროგრამის განხორციელების ამ ეტაპზე სამინისტროებისგან და განმახორციელებელი უწყებებისგან მიღებული რეკომენდაციები ძირითადად ინდივიდუალური ღონისძიებების განხორციელებას უკავშირდება. ზოგიერთი მათგანი კონკრეტულია და პასუხისმგებელი

ორგანოს მხრიდან დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. წამახალისებელი ფაქტორია ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რეკომენდაციები დაკავშირებულია კონკრეტული განხორციელების სამუშაო გეგმასთან, მითითებული ადრესატით და ვადებით (როგორც ეს მყარი ნარჩენების მართვის შემთხვევაშია). დეტალური ინფორმაცია მოცემულია 6 თვის საინფორმაციო ფურცლებში. ის რეკომენდაციები, რომლებიც შედარებით ზოგად საკითხებს ეხება: ბიუჯეტის დაგეგმვა, საერთო სოციალურ-ეკონომიკური, განსაკუთრებით კი, საქართველოს რეგიონული პოლიტიკა და მთლიანად რგპ-ს განხორციელება, თითქმის არ არის ნახსენები. ზოგიერთ შემთხვევაში, ფორმულირებულია საბიუჯეტო თანხების ან დონორთა რესურსების გაზრდის წინადადებები.

დამატებითი ექსპერტული დაკვირვებებისა და განხილვების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა შემდეგი ძირითადი რეკომენდაციების ჩამოყალიბება:

1 განხორციელებისა და მონიტორინგის საკითხების მართვის მიზნით, შესაბამისი ადმინისტრაციული შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება; ეს ეხება როგორც რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე ყველა სხვა ინსტიტუციას, რომელიც საჯარო პოლიტიკის, მათ შორის, რეგიონული პოლიტიკის პროგრამირებაში, განხორციელებასა და მონიტორინგშია ჩართულნი.

2. 2015-2017 წლების რგპ-ს მონიტორინგის პროცესის სიზუსტისა და სანდოობის შემდგომი უზრუნველყოფა და გაუმჯობესება, რაც გულისხმობს:
   ა. ფინანსური ცხრილის განახლებას (არსებული რგპ-ს მონიტორინგის გეგმის დანართი #6), რომლის ამოსავალი წერტილია რგპ-ს ფინანსური პროგრესის გასაზომად. მასში შეიძლება შევიდეს სამინისტროების მიერ შეთავაზებული ახალი ღონისძიებები. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ახალი ღონისძიებები რგპ-ში შეზღუდული რაოდენობით შეიძლება დაემატოს; მხოლოდ ის კატეგორია, რომელიც აუცილებელია და რგსკ-ს მიერ მოწონებას ექვემდებარება;
   ბ. ყველა ღონისძიებებისთვის მყისიერი შედეგის ინდიკატორებისა და დასახული სამიზნეების დახვეწა და შეგროვება;
   გ. ანგარიშგებისას უფრო მეტი ტერიტორიული განზომილების შემოტანა ღონისძიებ(ებ)ის განხორციელების შესახებ.

3. საბიუჯეტო ხარჯვასა და საერთაშორისო დონორების მიერ (თანა)დაფინანსებულ და განხორციელებულ ღონისძიებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება; ამ კონტექსტში, კონკრეტულად აღინიშნა ღონისძიება 1.4- ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და დაცვა და ძველი დაბინძურებული სამრეწველო ობიექტების მართვა. თუმცა, როგორც იკვეთება, ეს რეკომენდაცია უფრო ზოგადი საკითხის გადაჭრას გულისხმობს.

4. რაც შეეხება რეგიონული განვითარების ფონდს, შესაბამისი პროექტების შერჩევა-განხორციელების ციკლის უფრო ეფექტიანი მართვა და არსებული პროცედურები, მოითხოვს გარკვეული სიახლეების დანერგვას და ოპტიმიზაციას (განსაკუთრებით ეს ეხება მცირე ღირებულების და ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტებთან დაკავშირებული პროცედურების ოპტიმიზაცია-გამარტივების საჭიროებას). შესაბამისად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რეკომენდირებულია მონაცემების შეგროვება და დამუშავება გაკეთდეს ელექტრონული გზით.

დანართი 1. პროგრამის ღონისძიებების დონეზე ფინანსური და ფიზიკური პროგრესის მოკლე შეჯამება (ამონარიდი)

1.1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები

საქართველოს გზების ხარისხის გაუმჯობესება და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოება 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, რაც 2015 წლისთვის რგპ-ს მონიტორინგის გეგმის #6 დანართის მიხედვით ამ ღონისძიებისთვის გამოყოფილი თანხის უდიდესი წილით (638,7 მლნ ლარი 1283,8 მლნ ლარიდან) დასტურდება. 2015 წლის პირველი ნახევრის ბოლომდე 122 პროექტს მოეწერა ხელი, აქედან 89 მიმდინარე პროექტია, 33 კი უკვე დასრულდა. განხორციელებულ პროექტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ავტომაგისტრალების მშენებლობა E-60 და E-70 საერთაშორისო დერეფნებში, რომელიც ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილს აკავშირებს (ბათუმი-თბილისი-ფოთი-წითელი ხიდი). 2017 წლის ბოლოსთვის 100 კმ სიგრძის ავტომაგისტრალი აშენდება. საანგარიშო პერიოდში სამშენებლო სამუშაოებმა 97 კმ მოიცვა. 2015 წლის პირველ ნახევარში საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო და მოდერნიზაციის სამუშაოები 55 კმ შესრულდა. მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (მათ შორის ზამთრის პერიოდში) ტარდება 34 ზონაში შემავალ საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 6078 კმ საავტომობილო გზაზე.

ეს სამუშაოები სპეციალური მიზნისთვის განკუთვნილი ღონისძიებებია, მაგრამ ამ მიმართულებით ყოველწლიურად დაახლოებით 40 მლნ ლარი იხარჯება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს გზების დეპარტამენტის მიერ 3 ხიდის რეაბილიტაცია განხორციელდა.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- გზების უსაფრთხოების გაძლიერება და მართვის პირობების გაუმჯობესება, მგზავრობის ხანგრძლივობის შემცირება, განსაკუთრებით საქართველოს ურბანულ ცენტრებს შორის (თბილისი- ქუთაისი-ბათუმი);
- მიმართულებით-გზების ტექნიკური და ოპერატიული პირობების გაუმჯობესება, უფორ კომფორტული და დროის ნაკლებ დანახარჯებთან დაკავშირებული მგზავრობის უზრუველყოფა;
- გზების ოპერაციული ხარისხის და უსაფრთხოების ამაღლება.

1.2. მყარი ნარჩენების მართვა

შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ 2015 წლის პირველ ნახევარში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით შემდეგი სამუშაოები განახორციელა:

- კასპის, ფოთის, საჩხერეს, თერჯოლის, ხაშურის, ბოლნისის, დედოფლისწყაროს და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ნაგავსაყრელებზე (8) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- ასევე, განხორციელდა სამტრედიის, ამბროლაურის, მარნეულის, ბოლნისის, ხაშურის, კასპის, დუშეთის, სიღნაღის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში არსებული ნაგავსაყრელების (9) ტერიტორიის ელექტროფიცირება მზის ფოტო-ელექტრონული სისტემების მეშვეობით;

- დაბა ბაკურიანის ნაგავსაყრელზე განხორციელდა ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები;
- შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ გერმანიის განვითარების ბანკის (KfW Entwicklungsbank) ფინანსური მხარდაჭერით გეგმავს 2015-2018 წლებში ახალი საერთაშორისო სტანდარტების რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის აშენებას ქუთაისში, რომელიც მოემსახურება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს.

„მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინასური მხარდაჭერით, 2015 წლის მეორე ნახევარში „ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის“ პროექტს განახორციელებს. პროექტის მთლიანი ღირებულება 10 მლნ ევროა.

ქვემო ქართლის 5 მუნიციპალიტეტში: მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტებში ახალი ევროკავშირის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელი იარსებებს, რომელიც მანქანა-დანადგარების, კონტეინერებისა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური საშუალებებით იქნება აღჭურვილი. ახალი ნაგავსაყრელი 2015-2018 წლებში აშენდება და მხოლოდ ამის შემდეგ დაიხურება რეგიონში არსებული ნაგავსაყრელები.

ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ SIDA პროექტის განხორციელების მხარდამჭერ მომსახურებებს კორპორატიული განვითარების პროგრამას დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას და მუნიციპალიტეტის დახმარების პროგრამას დააფინანსებს ისევე გარემოზე ზემოქმედების შეფასების გაკეთებას უზრუნველყოფს.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- გარემოს გაუმჯობესება ნაგავსაყრელების რაოდენობის შემცირების შედეგად;
- გარემოსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პირობების გაუმჯობესება;
- მყარი ნარჩენების დაცვა ქარისგან, ცხოველებისგან და სხვა ტერიტორიებზე გავრცელებისგან.

1.3. წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ 2015 წლის პირველ ნახევარში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით შემდეგი სამუშაოები განახორციელა: სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში 0.24 კმ სიგრძის საკანალიზაციო და 43 კმ სიგრძის სასმელი წყლის მილები შეიცვალა. ასევე, იმერეთში და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში წყლის სისტემასთან დაკავშირებული ახალი აბონენტების რაოდენობამ 525-ს, ხოლო საკანალიზაციო სისტემასთან დაკავშირებულმა აბონენტების რაოდენობამ 296 შეადგინა. საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის ხელი მოეწერა მრავალჯერადი ტრანშის ჩარჩო შეთანხმებას. ამ ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში, ხელი მოეწერა 2015 წლის 5 თებერვლით დათარიღებულ ხელშეკრულებას, რომლის თანხმად აზიის განვითარების ბანკის “ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან” 108 მლნ აშშ დოლარი გამოიყო წყლის სისტემის მშენებლობისათვის ზუგდიდში და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციისთვის ფოთში.

2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ 41.05 მლნ ლარი გამოიყო, რომელიც 2015 წლის შესწორებული დაგეგმილი ბიუჯეტის, 80 მლნ ლარის 51.31%-ია და დამტკიცებული წლიური ბიუჯეტის

82.5% შეადგენს (41.05 მლნ ლარი). ასევე გაცემული თანხის რაოდენობამ 2015 წლის პირველი ნახევრის შესწორებული დაგეგმილი ბიუჯეტის 102% შეადგინა და დამტკიცებული ბიუჯეტის 416% 9.85 მლნ ლარიდან.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- საქართველოს რეგიონებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- წყლითდა და საკანალიზაციო სისტემებით მოსარგებლე მოქალაქეთა რაოდენობის გაზრდა.

1.4. ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება და ძველი დაბინძურებული სამრეწველო ობიექტების მართვა

ეს ღონისძიება სხვადასხვა ტიპის აქტივობებს მოიცავს, რომელიც რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების ბიუჯეტის ფარგლებში ხორციელდება: საბიუჯეტო კოდი 25 02 02 05 (ბუნებრივი კატასტროფებზე მყისიერი რეაგირებისა და პრევენციის სამუშაოები) და 25 02 02 07 (ნაპირსამაგრი სამუშაოები), გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება (საბიუჯეტო კოდი 38 07), ასევე ჰოლანდიის მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი სამრეწველო ნარჩენების შემცირებასთან დაკავშირებით, რომლის განხორციელებაზე პასუხიმგებელი უწყება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროა. იმ ნაწილის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს, წლის პირველ ნახევარში ბუნებრივ კატასტროფებზე მყისიერი რეაგირების მიმართულებით 22 პროექტი (ძლიერი წვიმის, წყალდიდობის და მეწყრის შედეგად დაზიანებული გზების აღდგენა) და ნაპირსამაგრი სამუშაოების 11 პროექტი განხორციელდა.

რაც შეეხება ღონისძიების ნაწილს, რომელსაც გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს და თითქმის მთლიანად სააგენტოს საკუთარი რესურსებით ფინანსდება, წლის პირველ ნახევარში სააგენტოს მიერ შემდეგი დოკუმენტები მომზადდა:

- საინფორმაციო ბიულეტენი „სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შეფასება და პროგნოზი“. (მათ შორის რეკომენდაციები)
- ზემოთაღნიშნულ ბიულეტენში მოყვანილ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ყველა მოწყვლადი მუნიციპალიტეტისთვის სამოქმედო გეგმები შემუშავდება, რომლის მიზანი გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე ბუნებრივი საფრთხეების პრევენციაა. საანგარიშო პერიოდში თბილისის ტერიტორიაზე გეოლოგიური საფრთხეების ზოგადი ანალიზი და მდინარე ვერეს აუზში 2015 წლის 13-14 ივნისს გამოწვეული კატასტროფის შესახებ წინასწარი შეფასება მომზადდა.
- მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების/ბუნებრივი საფრთხეების შესახებ ადრეული გაფრთხილების 9 შეტყობინება მომზადდა და გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს გადაეცა.

ყველა ამ სამუშაოს ჩასატარებლად 2015 წლის ივნისის ბოლომდე 2015 წლისთვის გამოყოფილი თანხის 46% დაიხარჯა - გარემოს ეროვნული სააგენტოს საკუთარი რესურსები.

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო განკარგვას, (საბიუჯეტო კოდი 38 00) ნიდერლანდების მთავრობის საგრანტო პროექტის "დარიშხანის შემცველი სამთო ნარჩენები საქართველოში" ფარგლებში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში მიმდინარეობს ღონისძიებები ურავში აკუმულირებული 50 000 ტონა დარიშხანის

შემცველი სამრეწველო ნარჩენების უსაფრთხოდ განთავსებისთვის. პროექტის ფარგლებში დარიშხანის შემცველი და დაბინძურებული ნიადაგისმართვის პროგრამა შემუშავდება - სახიფათო ნარჩენების სარკოფაგებში უსაფრთხო განთავსება. პროექტი 2012 წელს დაიწყო და 2015 წლის ბოლოს დასრულდება. პროექტის ბიუჯეტი 750 000 ევროს შეადგენს.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში 143 965 ლარი პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან (რეგიონული განვითარების ფონდიდან - საბიუჯეტო კოდი 38 00) დაიხარჯა.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- ეროზიის პრევენცია და წყალდიდობის შედეგებისგან მოსახლეობის დაცვა;
- რეაბილიტირებული გზების საშუალებით გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გადაადგილების გაუმჯობესება;
- გარემოს დაბინძურებისა და ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შესაძლო რისკების შემცირება.

1.5. საქართველოს ტყის ინვენტარიზაცია და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელება

რაც შეეხება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, (საბიუჯეტო კოდი 38 04 05) ფაქტიური დანახარჯი 0.1 მლნ ლარია, მაშინ როცა 2015 წლის სამიზნე ღირებულება 0.7 მლნ ლარით განისაზღვრა. მიღწეული მცირე პროგრესის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ვერ მოხერხდა ხანძარსაწინააღმდეგო სპეციალური ტრაქტორების შეძენა (0.5 მლნ ლარი). სხვა დაგეგმილი აქტივობები, მათ შორის სატყეო რაიონებისთვის ძირითადი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა: ცეცხლმაქრები (46 ერთეული) და ტყის სანიტარული პირობების გაუმჯობესება (მთლიანად 26,000 ჰა) წარმატებით განხორციელდა.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- ინფორმაცია საქართველოს ტყეებში არსებული მდგომარეობისა და მათი რაოდენობის შესახებ ინფორმაციის არსებობა;
- საქართველოს ტყეების მართვის ახალი სტანდარტებს გამოყენება.

2.1. რეგიონებში ბიზნესის მხარდაჭერა ინსტიტუციური და პროგრამული ინიციატივებით

ამ ღონისძიების ფარგლებში ორი პროგრამა ხორციელდება:

- „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ხელს უწყობს კომპანიებს ეროვნულ დონეზე მიიღონ ფინანსებსა და შესაბამის ინფრასტრუქტურაზე წვდომა და საკონსულტაციო მომსახურება საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისთვის კომერციულ ბანკებთან ხელშეკრულების გზით.

  „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ, 2015 წლის I ნახევარში, საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით 19 ბენეფიციარ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულებები. საერთო ჯამში, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გაფორმებულია 48 ხელშეკრულება, საიდანაც 40 არის კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხი, ხოლო 8 სალიზინგო კომპანიების მიერ.

- „მიკრო დაფინანსების“ სქემა, საქართველოს რეგიონებში მოქმედი მიკრო და მცირე საწარმოების ხელშეწყობისთვის, მეწარმეობის ხელშეწყობას და ქართული

პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას ისახავს მიზნად. პროექტი ჯერ კიდევ მომზადების პროცესშია - პროგრამის განსახორციელებლად კონტრაქტორი ორგანიზაციების შერჩევის მიზნით 4 ტენდერი გამოცხადდა.

რაც შეეხება ტრენინგების კომპონენტს, სააგენტოს ინიციატივით 7 რეგიონში ჩატარდა მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები, იგეგმება მსგავსი ტიპის შეხვედრების ორგანიზება დანარჩენ ორ რეგიონსა და აჭარაში.•პროგრამით გათვალისწინებულ 7 რეგიონში დასრულდა განაცხადების მიღების პროცესი და შეირჩა 1297 ბენეფიციარი.

სააგენტოს ინიციატივით რეგიონის მოსახლეობასთან საინფორმაციო ტიპის შეხვედრები გაიმართა. ამ პერიოდის განმავლობაში შეხვედრები ჩატარდა, იმერეთის, რაჭა ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონების მოსახლეობასთან. წლის მეორე ნახევრისთვის ასევე დაიგეგმა საინფორმაციო ტიპის შეხვედრები აჭარის, გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში;

იმერეთი, რაჭა ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, სამცხე ჯავახეთი და ქვემო ქართლის რეგიონებში წლის პირველ ნახევარში დასრულდა პირველადი განაცხადების მიღების პროცესი. იმერეთი, რაჭა ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონებში განმცხადებლების რაოდენობამ შეადგინა 2642, საიდანაც გადარჩეულ იქნა და გადაყვანილი იქნა შემდეგ ეტაპზე 575 ბენეფიციარი. აღნიშნულ ლოტზე ტრენინგები წლის მეორე ნახევრიდან დაიწყება.

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში აპლიკაციების რაოდენობამ 1845 შეადგინა, საიდანაც 712 ბენეფიციარი გადარჩეულ იქნა და გადაყვანილი იქნა შემდეგ ეტაპზე, რაც ბიზნეს გეგმების ტრენინგს მოიცავს.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- ინვესტიციებისა და სესხების მოცულობის ზრდა;
- მხარდაჭერის მიმღებ საწარმოთა რაოდენობის ზრდა.

3.1. სამელიორაციო სისტემების მართვის გაუმჯობესება

საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიამ 2015 წლის პირველ ნახევარში საირიგაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხის ნახევარზე მეტი უკვე აითვისა. სულ 46 პროექტი განხორციელდა, რომლის მეშვეობითაც დამატებით 4123 ჰა მიწის ნაკვეთი მოირწყა. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით განმახორციელებელ სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ უმნიშვნელო პრობლემები დაფიქსირდა. გამართული სასოფლო- სამეურნეო მიწის რეესტრის არარსებობა, წყლის გამოყენებისა და წყლის მომხმარებელთა რაოდენობის გაკონტროლებას შეუძლებელს ხდის. შედეგად კი, ვერ ხერხდება სათანადო საგადასახადო სისტემის განვითარება და წყლის მართვის გაუმჯობესება.

მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიას დაახლოებით 1 მილიარდი ლარი სჭირდება დაგეგმილი სარეაბილიტაციო და სამშენებლო პროექტების დასასრულებლად და განსაზღვრული მიზნის მისაღწევად - ქვეყანაში გასარწყავებული მიწის ფართობის გასამმაგება.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- ფერმერებისათვის და სხვა წყალმოსარგებლეებისთვის სარწყავი წყლის შეუფერხებელი მიწოდება (80-90 ათასი ბენეფიციარი);
- დასახლებული პუნქტებიდან და ფერმერების მიერ გამოყენებული ტერიტორიებიდან ჭარბი წყლის თავიდან აცილების მიზნით სადრენაჟო სისტემებზე ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფა;
- დასახლებული პუნქტების დაცვა წყალდიდობებისგან.

3.2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ინფორმაცია 3.2 ღონისძიების შესახებ „ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“ შემუშავებულია სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ და კონსოლიდირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ღონისძიების განხორციელების შესახებ საერთო პროგრესი დამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს. საბიუჯეტო დანახარჯი იაფი სესხის ფარგლებში 27%-ია (სააგენტოს მიერ 75.038.692 ლარის ღირებულების 748 სესხი და 16.021.205 აშშ დოლარის ღირებულების 190 სესხი გაიცა), საგაზაფხულო ვაუჩერების პროგრამის ფარგლებში 84%-ია (196,068 ჰა მიწა მოიხნა და 25,198,548 ლარის ღირებულების ვაუჩერი გაიცა) 34%-ია აგრო დაზღვევის შემთხვევაში (2015 წლის პირველ და მეორე ნახევრებში სადაზღვევო კომპანიებმა 1.802 ჰა მიწის ნაკვეთისთვის 1.624 სადაზღვევო პოლისი გასცეს, რომელთა მოსალოდნელი მოსავალი 13.405.891 ლარს შეადგენს, მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დანახარჯი 12%-ია (2015 წლის პირველ ორ კვარტალში სააგენტოს მიერ 1.076.270 აშშ დოლარის ღირებულების სესხები გაიცა).

აქტივობის შესრულების შედეგები:
- სულ მცირე 50 საკვებ გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა;
- საგაზაფხულო ვაუჩერის პროგრამის ეფექტიანობის გაზრდა;
- ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცველული კულტურების მოცულობის გაზრდა;
- დანაკარგების არსებობის შემთხვევაშიფერმერებისთვის უზრუნველყოფილია წარმოების ხარჯების ანაზღაურება.

3.3. სხვა პროგრამები (ახალი ჯიშების გამოცდა და გავრცელება; კოოპერატივების განვითარება; სურსათის უვნებლობა; ქართული ღვინის პოპულარიზაცია და წარმოების ხელშეწყობა)

ეს ღონისძიება ოთხი სხვადასხვა სააგენტოს და სამინისტროს ცენტრების მიერ ხორციელდება, ამიტომ მათ შორის მიღწეული ფინანსური პროგრესი განსხვავებულია. კოოპერატივების ხელშეწყობის და მხარდაჭერის პროგრამის (საბიუჯეტო კოდი 37 01 05) საბიუჯეტო ხარჯვა 12.1%-ია (კოოპერატივების შესაძლებლობების განვითარების პროგრამა 2015 წლის მესამე კვარტალში დაიწყება); სურსათის უვნებლობის და ვეტერინარული კონტროლის პროგრამის (საბიუჯეტო კოდი 37 02) ხარჯვითი წილი 50.6%-ია (2015 წლის პირველ 2 კვარტალში სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 1,656 ტესტი ჩატარდა); ქართული ღვინის პოპულარიზაცისა და მხარდაჭერის პროგრამის (საბიუჯეტო კოდი 37 03) ფარგლებში საბიუჯეტო ხარჯვითი წილი 18.5% შეადგენს (ყურძნის მოსავლის აღება აგვისტოში იწყება) და ბოლოს სამეცნიერო კვლევითი პროგრამის (საბიუჯეტო კოდი-37 04) საბიუჯეტო ხარჯვა 29%-ია

აქტივობის შესრულების შედეგები:
- ღვინის ექსპორტს გაზრდა;
- ბაზრის დივერსიპიცირების დონის გაზრდა;
- მოქმედი ფერმერული კოოპერატივების რაოდენობის გაზრდა.

3.4. სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება

ეს ღონისძიება მსოფლიო ბანკის კრედიტით ფინანსდება და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყების - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ

ხორციელდება. ამ ღონისძიების მიზანია სოფლის მეურნეობის მიწის ბაზრის განვითარების საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს. წლის პირველ ნახევარში აქტივობები არ განხორციელებულა, რადგან პროგრამის განხორციელების დაწყება 2016 წლამდე გადაიდო.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- ლიზინგის და გაყიდვების რაოდენობის გაზრდა;
- რეგისტრირებული მიწის რაოდენობის გაზრდა.

4.1. ტურიზმის განვითარება

ეს ღონისძიება რამდენიმე აქტივობას მოიცავს, რომელთა მიზანი საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობაა. ამ მიმართულებით წლის პირველ ნახევარში შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

- *ტურისტული რესურსების (მათ შორის, კულტურული და ბუნებრივი) და პოტენციალის რეგიონული კვლევები*
  პროექტი დროებით შეჩერებულია
- *ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ქსელის განვითარება*
  წლის პირველ ნახევარში მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდა წლის ბოლოსთვის ერთი საინფორმაციო ცენტრის გახსნის მიზნით.

ჩატარდა შემდეგი სახის გადამზადების კურსები:

1. „ტაქსის მძღოლების საბაზისო ინგლისური ენის და მომსახურებების უნარ-ჩვევების ტრენინგი“, კახეთი: ქ.თელავი, ქ.ყვარელი, ქ.სიღნაღი. იმერეთი: ქ.ქუთაისი, ქ.წყალტუბო, სამეგრელო-ზემო სვანეთი: ზუგდიდი. *60 მონაწილე.*
2. „ტრენინგი სასტუმროს მომსახურების უნარ-ჩვევები, სერვის+“. ქ. თბილისში არსებული განთავსების ობიექტების ტრენინგი. *110 მონაწილე.*
3. „ტურიზმის სფეროს საბაზისო ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები“. მთის კურორტების განთავსების ობიექტებისათვის. დაბა ბაკურიანი, ქ.ბორჯომი, დაბა სტეფანწმინდა და დაბა მესტია. *65 მონაწილე.*
4. EBRD-ის ღონისძიების ფარგლებში - მოხალისეთა ტრენინგი. *90 მონაწილე.*
5. „პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი“. მთის კურორტების განთავსების ობიექტების მომსახურე პერსონალისთვის: ქ.ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, დაბა მესტია, კურორტი გუდაური. *110 მონაწილე.*
6. „სასტუმროს საქმე და მომსახურების უნარ-ჩვევები“. კახეთი: ქ. თელავი, ქ.სიღნაღი, ქ.ყვარელი. იმერეთი: ქ. ქუთაისი, ქ. წყალტუბო. სამეგრელო-ზემო სვანეთი: ქ. ზუგდიდი. *140 მონაწილე.*
7. „ტაქსის მძღოლების საბაზისო ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები და მომსახურების უნარ-ჩვევები“. ქ.თბილისი, ქ. მცხეთა, დაბა სტეფანწმინდა და დაბა მესტია. *80 მონაწილე.*

- *მარკეტინგული აქტივობებით ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განვითარება*

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ტურისტულ კომპანიებთან ერთად მონაწილეობა მიიღო 16 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში (14 საზღვარგარეთ, 2 საქართველოში); ჩატარდა 28 პრეს და გაცნობითი ტური ჟურნალისტებისა და ტურისტული კომპანიების მონაწილეობით (მათ შორის 26 საზღვარგარეთიდან); განხორციელდა საერთაშორისო მარკეტინგული კამპანია 9 მიზნობრივ ქვეყანაში;

ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო და მხარი დაუჭირა 12 სხვადასხვა ღონისძიებას საქართველოს მასშტაბით.

- *ტურისტული პროდუქტი*

შეიქმნა 4 ტურისტული პროდუქტი, ესენია: რუკების ციფრული ფაილები (გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და დაბებში), პილიგრიმული კატალოგი, თბილისის ორმხრივი მანათობელი ბილბორდები, ტურისტული ობიექტების მიმართულებების მანიშნებლები (საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და დაბებში).

აქტივობის შესრულების შედეგები:

- საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობის გაზრდა;
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ოდენობის გაზრდა.

5.1. შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა

2015 წელს საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, 2014 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილების - N732 სამოქმედო გეგმის პროგრამის ქვეაქტივობის 4.7 შესაბამისად, დაიწყო შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა. 2015 წელს აღნიშნული ქვეაქტივობის შესრულებაზე ბიუჯეტი 270 000 ლარით განისაზღვრა.

კვლევის მიზანია შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა განწყობების მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება კვლევა ტარდება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში რესპოდენტი კომპანიების რაოდენობამ შეადგინა 6000 ხოლო თვისებრივი კვლევის ფარგლებში 240 თვისობრივი კვლევის დასრულების პერიოდად განისაზღვრა 2015 წლის მაისი ხოლო რაოდენობრივი კვლევისთვის 2015 წლის აგვისტო

გეგმის შესაბამისად, 2015 წლის პირველი ნახევრის ბოლოს, კონტრაქტორი კომპანიის მიერ თვისობრივი კვლევის ანგარიში მომზადდა.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- სამსახურის მაძიებელთათვის შრომის ბაზრის შესახებ გაუმჯობესებულ ინფორმაციაზე წვდომა;
- მეწარმეთათვის ბიზნესის დამოკიდებულების, შრომის ბაზრის მოთხოვნისა და შესაძლებლობების შესახებ გაუმჯობესებული ინფორმაციის მიწოდება;
- მთავრობის შესაძლებლობების ზრდა შრომის ბაზრის პოლიტიკის (როლი, პრიორიტეტები, აქტივობები) მომზადებასა და განხორციელებაზე.

5.2. ახალი პროფესიული კოლეჯების მშენებლობა, არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, აღჭურვა და ინფრასტრუქტურის განვითარება

2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რეგიონებში 26 კარგად აღჭურვილი კოლეჯის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო რომლებიც მაღალი ხარისხის სერვისებს განავითარებენ ინიციატივის მიზანია პროფესიულ განათლებაზე ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა და ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების მიწოდების გზით საწყის ეტაპზე დაგეგმილია ყოველ წელს მინიმუმ ერთი პროფესიული კოლეჯის გახსნა

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში წლის პირველი ნახევარი ძირითადად

მოსამზადებელ სამუშაოებს დაეთმო, მათ შორის 2014 წელს დაფუძნებული კოლეჯის (მცხეთა, წინამღვრიანთკარი) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას.

2015 წლის პირველ ნახევარში რეგიონებში (ახალციხე, ბაღდათი, სენაკი) მდებარე კოლეჯებისათვის დასრულდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მეცხოველეობის ფერმების პროექტირება.

შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის სასწავლო გარემოს შესაქმნელად შემუშავდა ხედვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ადაპტირების შესახებ უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით. ითარგმნა უნივერსალური დიზაინის გზამკვლევი; 5 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით შეიქმნა არქიტექტორული პროექტები, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური გარემოს ადაპტირების ერთგვარი მოდელი იქნება. შესაბამისი სამშენებლო პროექტების განხორციელება დაიწყება წლის მეორე ნახევარში.

დაწყებულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სტუდენტური საერთო საცხოვრებლების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროცესი. ამჟამად მიმდინარეობს სტუდენტური საცხოვრებლების რეაბილიტაცია ქუთაისსა და ზუგდიდში. გადაწყვეტილება მიღებულია სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობის შესახებ დაბა მესტიაში მდებარე კოლეჯისათვის და მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- მხარდაჭერილი ცენტრების მიერ პროფესიული ტრეინინგების გაუმჯობესებული ხარისხის უზრუნველყოფა.

5.3. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების, გადამზადებისა და ექსტენციის სისტემები

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით წლის პირველ ნახევარში გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა, სულ 8 პროფესიული კოლეჯის და 7 სახელმწიფო საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის დახმარება იგეგმება, რათა მათ შეძლონ უფრო მოქნილი, ინოვაციური, ეფექტიანი სასწავლო პროგრამების შემუშავება და ფერმერთათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

პროექტის მიერ მხარდაჭერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივა მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვის შესახებ. ახალი მიდგომის მიხედვით, როგორც პროგრამის შემუშავება, ასევე უშუალოდ სწავლება, დაეფუძნება მოდულებს/თემებს. მოდულურ პროგრამებში აქცენტები კეთდება არა მხოლოდ პროფესიული უნარების (ხელობის, პროფესიის შესწავლა) განვითარებაზე, არამედ ამავე დროს, საბაზო (წიგნიერება, მათემატიკური უნარები და სხვ.) და საკვანძო უნარების (მეწარმეობა, უცხო ენაზე კომუნიკაცია, ციფრული კომპეტენციები და სხვ.) განვითარებაზე, რასაც თანამედროვე სამყაროში გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, სწავლის შედეგებზე ორიენტაცია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და სწავლება-შეფასების თანამედროვე მიდგომები მოდულური პროგრამების ძირითადი მახასიათებლებია. ამდენად, პროექტის მიერ სოფლის მეურნეობის მიმართულებით მოდულური პროგრამების შემუშავება-დანერგვის პროცესის მხარდაჭერა აქტიურად 2014 წელს დაიწყო და წარმატებით გრძელდება: აგრარული მიმართულების 8 პროფესიაში გაკეთდა საგანმანათლებლო

პროგრამები მოდულური მიდგომით, გაკეთდა საპილოტე მოდულების შეფასების ინსტრუმენტები და მასწავლებელთა გზამკვლევები; პილოტირებისათვის შეირჩა 4 კოლეჯი და განისაზღვრა მათი საჭიროებები; შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე გადამზადდნენ საპილოტე დაწესებულების პროფესიული მასწავლებლები და ხარისხის მენეჯერები; თითოეული კოლეჯისთვის შემუშავდა მოდულური პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მოწყობილობების ტექნიკური სპეციფიკაციები; ასევე, სასწავლო გარემოს მინიმალური სტანდარტები 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად. მოდულების პილოტირება განხორციელდა 4 პროფესიულ კოლეჯში; მონიტორინგის შედეგები გაანალიზდა და შემუშავდა რეკომენდაციები. პილოტირების შედეგების გათვალისწინებით, დაიწყო 7 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა - განხორციელება. შემუშავდა აგრარული პროფესიების (სულ 8 პროფესია) სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები.შემუშავდა ექსტენციის მუშაკისა და ექსტენციის მკვლევარ-კონსულტანტის სტანდარტი; შემუშავდა ექსტენციის მუშაკის გადამზადების პროგრამა 15 მიმართულებაში; პროფესიული განათლებისა და ექსტენციის საკითხებზე თბილისში გაიმართა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- გადამზადებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გაზრდილი რაოდენობა;
- პროფესიული განათლების მომსახურების სფეროს წარმომადგენელთა გაზრდილი რაოდენობა (ვეტერინარები, ზოოტექნიკოსები, საკვები პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს პერსონალი);
- გადამზადებულ ფერმერთა გაზრდილი რაოდენობა;
- მემანქანე ოპერატორების, მასალების მიმწოდებლების, ცხოველთა საკვების მწარმოებლების გაზრდილი რაოდენობა;
- სოფლად მცხოვრები ფერმერების ცხოვრების დონის გაუმჯობესება პროდუქტიულობისა და შემოსავლების ზრდის მეშვეობით;
- პროდუქტიულობისა და შემოსავლების ზრდის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ტრეინინგების განხორციელება.

5.4. პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (2013-2020) შემდეგი პრიორიტეტები განისაზღვრა: პროფესიული მასწავლებლების მომზადება და განვითარება; კომპეტენციის განვითარების მიზნით სისტემური და სისტემატური ტრენინგების უზრუნველყოფა; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი კადრების მოზიდვა, არსებულის შენარჩუნება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

2014 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მოამზადა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია, რომელიც წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობისათვის. 2014 წლის 31 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის #2624 განკარგულება „პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფციის პროექტის მოწონების შესახებ“.

2015 წლიდან დაიწყო მუშაობა კონცეფციის სამოქმედო გეგმის განხორცილებისათვისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების

სისტემის ჩამოყალიბებაზე: განახლდა პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაცემთა ბაზა; ჩამოყალიბდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თემატური ჯგუფი (სოციალური პარტნიორების, სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კოლეჯების წარმომადგენელთა მონაწილეობით), განისაზღვრა ჯგუფის სამოქმედო გეგმა და წლის პირველ ნახევარში გამართა 2 სამუშაო შეხვედრა; მომზადდა მასწავლებელთა მოსამზადებელი სავალდებულო პედაგოგიური კურსის პროექტი; განხორციელდა კვლევები მასწავლებელთა ტრენინგ-საჭიროებების გამოსავლენად; დაიგეგმა და განხორციელდა პროფესიული განვითარების პროგრამები, მათ შორის მოეწყო სასწავლო ტურები/ვიზიტები საზღვარგარეთ.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- პროფესიული განათლების პედაგოგთა მომზადება სწავლების თანამედროვე ტექნიკისა მიღწევების შესახებ;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- შეფასების პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.

5.5. საჯარო მოხელეთა ტრენინგები

2015 წლის პირველ ნახევარში სსიპ „ვანო ხუხუნაიშვილის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრის“ მიერ განხორციელებული აქტივობების მიზანი ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის შექმნა და ამოქმედებაა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების კონცეფციისა“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების კონცეფციის სამოქმედო გეგმის“ მოწონების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულება 2014 წელს დამტკიცდა. ცენტრი დასახელდა უწყებად, რომელიც ახორციელებს სწავლების სისტემის კოორდინაციას, სასწავლო-მეთოდურ და ინფორმაციულ მხარადაჭერას. ასევე, სწავლების სისტემაში ჩართული უწყებების ეფექტიანი თანამშრომლობის კოორდინაციის, სწავლების პროცესში ერთიანი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობის, სწავლების სისტემის შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, ქმნის ცენტრის სათთბირო ორგანოს - ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სათათბირო საბჭოს. სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი უზრრუნველყოფის მიზნით მიღებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტები, მათ შორის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა მუხლი 132 , რომლის საფუძველზეც, 2015 წლის 7 ივლისს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“.

- *ადგილობრივ თვითმმართველობაში ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციის განვითარების ხელშეწყობა*

ამ კომპონენტის ფარგლებში, ცენტრი მუნიციპალიტეტებს უწევს მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას, პრიორიტეტული სწავლების საჭიროებათა დადგენასა და წლიური სასწავლო გეგმების შედგენაში, მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და იმ ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, რაც თვითმმართველობის მოხელეს დაეხმარება მასზე დაკისრებული მოვალეობების უკეთ შესრულებაში. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების დახმარებით, ცენტრმა“ შეიმუშავა სასწავლო საჭიროებების შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც 2014 წლიდან გამოიყენება. ცენტრი, გაეროს განვითარების პროგრამის „რეგიონული და

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების“ პროექტთან და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ხელს შეუწყობს აღნიშნული სასწავლო საჭიროებების შეფასების დასრულებას 76 მუნიციპალიტეტისთვის. აქედან 56 მუნიციპალიტეტში რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროექტის, ხოლო 20 მუნიციპალიტეტში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით.

ცენტრის ორგანიზებით, გაეროს განვითარების პროგრამის და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით, ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეთათვის 10 პრიორიტეტულ სფეროში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების კომპეტენციის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო ტრენინგები ჩატარდა. გადამზადდა 758 ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი

- *სასწავლო პროგრამ(ებ)ის მიმწოდებელთა შესაძლებლობების გაძლიერება, თვითმმართველობებსა და მიმწოდებლებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება*

აღნიშნული აქტივობების განხორციელებას ხელს შეუწყობს, საქართველოს მთავრობის N319 დადგენილების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის შექმნა. დადგენილების მიხედვით, შემუშავდება სასწავლო პროგრამის სპეციალური სტანდარტები, რომლებსაც განიხილავს ცენტრის სათათბირო საბჭო და დაამტკიცებს ცენტრის დირექტორი. ამ სტანდარტების მიხედვით, სასწავლო პროგრამ(ებ)ის მიმწოდებელების მიერ, შემუშავებულ სასწავლო პროგრამებს ცენტრი დაარეგისტრირებს სასწავლო პროგრამების რეესტრში. ხოლო, მუნიციპალიტეტების წლიური სასწავლო გეგმების საფუძველზე ახდენს სწავლების საჭიროებათა სისტემატიზაციას და ასახავს შესაბამის ინფორმაციას ტრენინგ-საჭიროებათა რეესტრში. აღნიშნული სისტემა ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამ(ებ)ის მიმწოდებელთა მიერ მუნიციპალიტეტების საჭიროებებზე მორგებული და სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადებას და განხორციელებას, მუნიციპალიტეტებსა და სასწავლო პროგრამების მიმწოდებლებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას.

აქტივობის შესრულების შედეგები:

- შექმნილია და მოქმედებს სწავლების ეფექტიანი სისტემა;
- სასწავლო სისტემისთვის მთავრობის მიერ გამოყოფილი შესაბამისი სახსრები
- ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მომსახურების შეფასების სისტემის გაუმჯობესება (სექტორების მიხედვით);
- სწავლების სიტემა შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან „ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებების და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

✓ შესაბამისი ფინანსური ჩარჩოს შექმნა;
✓ ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველყოფა;
✓ თვითმმართველობებში მოთხოვნის იდენტიფიცირების სისტემის გაძლიერება
✓ მომსახურების მიმწოდებელთა შესაძლებლობების გაძლიერება;
✓ ხარისხის გარანტიის უზრუნველყოფა.

რეგიონული განვითარების ფონდი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თვითმმართველობებისა და რეგიონული პროექტებისთვის გამოსაყოფი თანხა განისაზღვრა 170 მილიონი ლარით. (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის #27 განკარგულება). იმის გამო, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შესყიდვა იანვარში დაიწყო, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა ძირითადად, საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაზე დაიხარჯა, ხოლო აღნიშნული პროექტებზე სამუშაოების განსახორციელებლად თანხის გამოყოფა, უმეტესად მაისში დაიწყო.

30 ივნისის მონაცემებით ხელშეკრულება გაფორმებულია 129 მლნ. ლარის ღირებულების 360 პროექტზე. ის თანხები, რომლებიც ტენდერების მეშვეობით დაიზოგა დამატებითი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას მოხმარდა. მთლიანად საანგარიშო პერიოდში 177 მლნ ლარის ღირებულების 500 პროექტი დაფინანსდა. 30 ივნისის მდგომარეობით, სამუშაოები მიმდინარეობს 84 მლნ. ლარის ღირებულების 233 პროექტზე, მათ შორის, უკვე დასრულებულია 24 მლნ. ლარის ღირებულების 62 პროექტი.

- გურიის რეგიონისთვის გამოიყო 13 მლნ ლარი, საიდანაც 8.2 მლნ ლარის ღირებულების ტენდერები დასრულდა 36 პროექტისთვის, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 6.7 მლნ ლარია. ამ ეტაპისთვის ტენდერებით დაზოგილი თანხა შეადგენს 1.5 მლნ ლარს.

- იმერეთის რეგიონისთვის გამოიყო 45.4 მლნ ლარი, საიდანაც 37.8 მლნ ლარის ღირებულების ტენდერები დასრულდა 87 პროექტისთვის, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ 32,9 მლნ ლარი შეადგინა. ამ ეტაპისთვის ტენდერებით დაზოგილი თანხა შეადგენს 4.9 მლნ ლარს.

- კახეთის რეგიონში გამოყოფილი 21.9 მლნ ლარიდან ტენდერები დასრულდა 17.6 მლნ ლარის ღირებულების 80 პროექტზე, საბოლოო სახელშეკრულებულო თანხა შეადგენს 15.4 მლნ ლარს. ტენდერების შედეგად დაზოგილი თანხა კახეთის რეგიონში ამ ეტაპისათვის 2.2 მლნ ლარია.

- მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის გამოყოფილი 8 მლნ ლარიდან ტენდერი დასრულდა 2.9 მლნ ლარის ღირებულების 12 პროექტზე, აღნიშნულ პროექტებზე სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 2,4 მლნ ლარს. ტენდერების შედეგად დაზოგილი თანხა ამ ეტაპისათვის 0.5 მლნ ლარია

- რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთისვის გამოყოფილი 8 მლნ ლარიდან ტენდერი დასრულებულია 5.3 მლნ ლარის ღირებულების 40 პროექტზე, სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 4.9 მლნ ლარს. ტენდერების შედეგად დაზოგილი თანხა 0.5 მლნ ლარია.

- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის გამოყოფილი 32.3 მლნ ლარიდან ტენდერები დასრულდა 20.2 მლნ ლარის ღირებულების 42 პროექტზე, სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 18.4 მლნ ლარს. ამ ეტაპისთვის ტენდერებით დაზოგილი თანხა 1.8 მლნ ლარია.
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის გამოყოფილი 14 მლნ ლარიდან ტენდერები დასრულდა 12.3 მლნ ლარის ღირებულების 26 პროექტზე, სახელშეკრულებო ღირებულება 11.2 მლნ ლარია. ამ ეტაპისთვის ტენდერებით დაზოგილი თანხა შეადგენს 1.1 მლნ ლარს.

- ქვემო ქართლის რეგიონისთვის გამოყოფილი 21.5 მლნ ლარიდან ტენდერები დასრულდა 12.9 მლნ ლარის ღირებულების 29 პროექტზე, სახელშეკრულებო ღირებულება აღნიშნულ პროექტებზე 10.8 მლნ ლარია. ამ ეტაპისთვის ტენდერებით დაზოგილი თანხა შეადგენს 2.1 მლნ ლარს.

- შიდა ქართლის რეგიონისთვის გამოყოფილი 12.4 მლნ ლარიდან ტენდერები დასრულდა 5.3 მლნ ლარის ღირებულების 7 პროექტზე, სახელშეკრულებო ღირებულება აღნიშნულ პროექტებზე 4.9 მლნ ლარია. ამ ეტაპისთვის ტენდერებით დაზოგილი თანხა შეადგენს 0.4 მლნ ლარს.

ტენდერების შედეგად არსებული დანაზოგებით დამატებით ფინანსდება მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტები, ხოლო საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულება) კორექტირდება პროექტების სახელშეკრულებო თანხებისა და დამატებითი პროექტების დაფინანსების შესაბამისად.